ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 12 დეკემბერი 1961




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (125) დეკემბერი, 1961 წ.
გამოცემის XI წელი
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური და სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მეცნიერთა დიდი ფორუმი

30 ნოემბერს თბილისში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

საიუბილეო სესია მიმდინარეობდა იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებული სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თავდადებულად შრომობს, რათა განახორციელოს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადასცა მისასალმებელი ადრესი. ქართველ კოლეგებს მხურვალედ მიესალმნენ აგრეთვე აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. გ. მამედალიევი და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი.

მოხსენება „მეცნიერება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე", გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

სესიამ განიხილა იმ დიდი გზის შედეგები, რომელიც განვლო ქართულმა მეცნიერებამ, და განსაზღვრა მეცნიერების ადგილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

სესიის მრავალ სექციაში მოისმინეს 140-ზე მეტი მოხსენება.

ფიზიკის სექციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო ქართველ მეცნიერთა შრომები, მათ შორის კვლევის შედეგები დაბალი ტემპერატურის ფიზიკის, კერძოდ, ზედენადი ჰელიუმის დარგში. დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე მეატომე მეცნიერთა ჯგუფის მოხსენებამ „ირტ-2000" რეაქტორის გამარადიაციული კონტურის შესახებ, რომელიც პირველად შექმნეს ახალგაზრდა ქართველმა ფიზიკოსებმა მოსკოველ მეცნიერებთან ერთად.

მსოფლიოში ცნობილია ქართული მათემატიკური სკოლა, რომელსაც აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი მეთაურობს. ამიტომაც იყო, რომ მათემატიკის სექციის მუშაობამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სესიის მონაწილეებში.

აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ გეოლოგიის სექციაზე მოხსენება გააკეთა მთათა წარმოშობის პრობლემის შესახებ. სექციაზე დიდი ინტერესით მოისმინეს აგრეთვე აკადემიკოს გ. ძოწენიძის მოხსენება „საქართველოს პალეოგენური ვულკანიზმი" და სხვ.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა სექციების მუშაობა.

„მე ვთვლი, რომ საქართველოში მეცნიერება ძალიან მაღალ დონეზე დგას, — განაცხადა სესიის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. კელდიშმა, — ინტენსიურად ვითარდება და, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ქართველი მეცნიერები გაახარებენ ჩვენს სამშობლოს ახალი აღმოჩენებითა და მნიშვნელოვანი გამოკვლევებით.

მინდა ვუსურვო ქართველ მეცნიერებს ახალი წარმატებები საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში".



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
მ. ვ. კელდიში ადრესს გადასცემს საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს
ნ. ი. მუსხელიშვილს.

# ჩვენი ცხოვრების დიდი პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სოფლის მეურნეობის ხვალინდელი დღე

„მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა“, — ხაზგასმითაა აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში.

იყო დრო, როცა გლეხებს სოფლის ორღობეში მიმავალი ტრაქტორის დანახვის ეშინოდათ. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ? ჰოც და არაც. „არა“ იმიტომ, რომ იმ დროს ჩვენ სულ რაღაც 30-40 წელიწადი გვაშორებს, „ჰო“ კი იმიტომ, რომ შეუძლებელია ჩვენი სოფლის მეურნეობის შედარება იმასთან, რაც მეფის რუსეთმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა. მაშინდელი ერთპიროვნული, ხელით შრომაზე დაფუძნებული წვრილი და დაქუცმაცებული მეურნეობა გადაიქცა მსხვილ, მაღალმექანიზებულ კოლექტიურ მეურნეობად.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს გასაგებიცაა. ჩვენი მინდვრების უსაზღვრო ხოდაბუნები ხომ მრეწველობის მრავალი დარგის ნედლეულისა და მთელი ხალხის საკვები პროდუქტების მთავარი წყაროა.

ამიტომაა, რომ პარტიის ახალი პროგრამა ამოცანად სახავს ჩვენი „მწვანე საამქროს“ მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. „...გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 10 წელიწადში დაახლოებით ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში — სამნახევარჯერ“, — ჩაწერილია პროგრამაში. 1980 წელს დღევანდელთან შედარებით მარცვლეულს მივიღებთ ორჯერ უფრო მეტს. ხორცს — ოთხჯერ უფრო მეტს, რძის წარმოებას კი ერთისამად გავადიდებთ, მარტო ჩვენი რესპუბლიკის მთელი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (შესადარ ფასებში) ათი წლის განმავლობაში გაიზრდება დაახლოებით 1.600 მილიონ მანეთამდე ნაცვლად 690 მილიონი მანეთისა 1959 წელს. ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქცია შეადგენს 1.165 მილიონ მანეთს ნაცვლად 383 მილიონ მანეთისა 1959 წელს.

ამგვარად, 1980 წლისათვის უკვე უზრუნველყოფილი იქნება მოხმარების პროდუქტების სრული სიუხვე, რაც მუშათა და მოსამსახურეთა სასადილოებში სადილების ფასების გაუქმების საშუალებას მოგვცემს.

რა შეუწყობს ხელს ჩვენს სოფლის მეურნეობას იმაში, რომ მოსწყდეს დღევანდელობას და მძლავრი რაკეტასავით აიჭრას პროდუქტების სიუხვის უმაღლეს ორბიტაზე? პასუხი პროგრამაშია მოცემული:

„შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში ათი წლის მანძილზე გაიზრდება სულ ცოტა ორნახევარჯერ, ხოლო ოცი წლის მანძილზე — ხუთჯერ-ექვსჯერ. სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა — უფრო სწრაფი თავისი ტემპებით, ვიდრე სამრეწველო წარმოებაში, — შესაძლებელს გახდის აღმოვფხვრათ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობისაგან“...

პარტიის პროგრამა სახავს აგრეთვე ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ძალების სრულყოფის გზებსაც. ეს არის მიწათმოქმედების სრული მექანიზაცია და ნაწილობრივი ავტომატიზაცია, ქიმიზაცია და ბიოლოგიის საშუალებათა ეფექტიანი გამოყენება.

უნდა ვამზადოთ რაც შეიძლება მეტი მანქანები, რაც შეიძლება მეტი ქიმიკატები, ტელესამართავი ტრაქტორები და ელექტრონული მანქანები, რომლებიც გამოიანგარიშებენ და შეადგენენ მეურნეობის წარმართვის საუკეთესო გეგმებს: როგორ მიწაზე რა კულტურები იქნას მოყვანილი, როგორ იქნას გამოყენებული რაციონალურად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა — ალბათ გვექნება ასეთი მანქანებიც! მეცნიერება, ტექნიკა, მძიმე ინდუსტრია მთელი თავისი შესაძლებლობებით დაეხმარება სოფლის მეურნეობას.

პარტიის პროგრამა ახალ წარმტაც ჰორიზონტებს შლის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგშიც. უახლოეს წლებში ჩვენს ქვეყანაში აიგება ათასობით სასოფლო ელექტროსადგური და ქვესადგური, გაიჭიმება მილიონობით კილომეტრის სიგრძის სასოფლო ელექტროხაზები. მთელი სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია მოამარაგებს ყოველ სოფელს, ფერმასა და სახელოსნოს ენერგიის საჭირო რაოდენობით. ამის შედეგად, როგორც პროგრამაშია აღნიშნული, „სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ მიუახლოვდება მრეწველობის დონეს; სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცევა სამრეწველო შრომის ნაირსახეობად“...

1980 წელს სოფლის მეურნეობაში შეიჭრება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე: ქვეყნის ყველა რაიონში ადგილობრივი პირობებისა და თვითეული მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით დაინერგება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები. ეს უზრუნველყოფს მიწის უფრო ეფექტურ გამოყენებას. ყოველი რაიონი აწარმოებს სწორედ ისეთ კულტურებს, რომლებიც ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება ამ რაიონისათვის და რომლებისთვისაც აქ იარსებებს ყველა საჭირო პირობა. ნაკლებადსარგებლიანი და დაბალმოსავლიანი კულტურები გაიძევება უფრო ძვირფასი და მაღალმოსავლიანი კულტურებით. სხვადასხვა რაიონებსა და ოლქებს შორის წარმოიქმნება თავისებური „შრომის განაწილება“ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანაში.

მინდვრები და ზვრები მიიღებენ იმდენ სასუქს, რამდენიც, მეცნიერთა გამოანგარიშებით, საჭირო იქნება მათთვის, ურწყავ მიწებს დასერავენ წყალუხვი არხები, ჩრდილოეთის მდინარეები სამხრეთისაკენ იბრუნებენ პირს, რათა ადამიანთა სამსახურში ჩააყენონ თავიანთი გოლიათური ძალები. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მინიმუმამდე იქნება მიყვანილი სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება ბუნების სტიქიისაგან.

ადამიანი მოსავლის მბრძანებელი გახდება.

საბჭოთა მეურნეობების დასახლებებსა და საკოლმეურნეო სოფლებში აღიმართება სკოლა-ინტერნატების, კულტურის სასახლეების, კლუბების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების, სასადილოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატების შენობები, და თანდათან ჩაბარდება წარსულს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება.

„ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა ლიკვიდაცია — ხაზგასმულია პარტიის ახალ პროგრამაში, — კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი შედეგი იქნება“.





# ხარობენ ნერგები



ლადო სულაბერიძე

ავტობუსი სერზე აიჭრა და ზემო მაჩხაანისაკენ გაუყვა გზას.

გზის მარცხენა მხარეს ცხვრის ფარა გაშლილა. ბამბურა ძაღლები ავტობუსს მოაწყდნენ და ყეფა-ყეფით აედევნენ. თუშურქუდიანმა ყმაწვილმა ფანჯარაში თავი გაყო და ხელის ქნევით მიესალმა მწყემსს.

— გამარჯობა, თედო!

რამდენიმე ფარას კიდევ ჩავუქროლეთ და ყმაწვილი ყოველთვის ფანჯარაში თავგაყოფილი ესალმებოდა მწყემსებს.

— ამას დამიხედეთ, რა ნაცნობ-მეგობრობა აღმოუჩნდა ამ მინდორ-მინდორ!—არც კი მოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა შოფერმა.

— ჩვენები არიან, ზემომაჩხაანელები, ფარებს მოლალავენ თრიალეთიდან.

ყმაწვილმა თუშური ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ის-ის იყო ფანჯარაში თავის გაყოფას აპირებდა, რომ მის გვერდით მჯდომმა მოხუცმა წამოიძახა:

— კაცია ახლა ეგა?!

გზაზე ფარა გადადიოდა. ერთი ახალგაზრდა მწყემსი პატარა კაკლის ხეს სწვდა და რტო შეატეხა, მერე მოტეხილი რტოთი გზაზე შეხურხლულ ცხვარს დაუწყო გადარეკვა.

თუშურქუდიანმა ყმაწვილმა კვლავ ფანჯარაში გაჰყო თავი და იმ ახალგაზრდა მწყემსს მიაძახა:

— გამარჯობა, ილო!

— ე ილო-ბიჭი კი ვერა გყოლია კარგი ძმაკაცი,—უთხრა მოხუცმა.

— რათა, პაპა?!—გაიკვირვა ყმაწვილმა,—იგეთი მწყემსია, რომა!..

— ჰოდა, იგეთი როა, გზა-გზა ამ ნორჩ კაკლებს რომ ამტვრევს, მითომ რაო!

— ეე!..—მოსწყვიტა თვალი მოხუცს ყმაწვილმა და მინდვრისკენ გაიხედა,—შენცა ერთი, პაპა, სადარდებელი გაგჩენია, რაღა!

— რაო, რაო, სადარდებელი გამჩენიაო? კაციშვილმა დარგო ი კაკლები, სარგებლობას მოგვიტანსო,—გაცხარდა მოხუცი.

— იჰ, ერთი!.. სარგებლობას არა! ერთი ციცქნა კაკალია, აბა, ეგ როდის გაიზრდება?!

— ეგრე ნუ ამბობ, ბიჭო, ყმაწვილი ხარ, შენ მაგრე არ უნდა ფიქრობდე. ამ გზის გასწვრივ ჩამწკრივებული კაკლები რომ ერთად შეაქუჩო, მთელი ტყე გამოვა. აბა, ერთი ოცი წლის მერე ნახე! მაჩხაანში რომ დიდი კაკლებია, ისინი სულ პატარები მახსოვს. აგრევე დაიზრდებიან ეგენიცა. ჰოდა, ეგრე უთხარ იმ შენს ცერცეტა ილოსა, გზა-გზა ასე იოლად ნუ შესწვდება ხოლმე ნორჩი კაკლების რტოებს.

გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ კაკლის ხეებს შემოდგომის ყვითელი ფერი დასდებია. ეს მათი პირველი შემოდგომაა.

ერთ ფარასაც ჩავუქროლეთ.

თუშურქუდიან ყმაწვილს ფანჯარაში თავი არ გაუყვია. ახლა მისი ფიქრიანი თვალები კაკლის პატარა ხეებს მისჩერებოდნენ.

* * *

გზა ჯერ პატარა ხევში ჩაიკარგება, მერე სოფელ არბოშიკთან მარჯვნივ აუხვევს და აღმა-აღმა აიჭრება. მოასფალტებული შარაგზა შუა სოფელს ჩაუვლის. ამ შარას აჰყვები, გორას ქედზე მოექცევი და თვალწინ გადაიშლება სოფელ ზემო მაჩხაანის თვალწარმტაცი უბნები.

სოფლის ცენტრში ამოზიდულა ფასადმოხატული კულტურის სახლი. მის გვერდით ფართოსარკმელებიანი სკოლა აუგიათ. იქვე აფთიაქია, საექიმო პუნქტი, მერე სამშობიარო სახლი, სასტუმრო, ფოსტა-ტელეგრაფი, აბანო, ფურნე, ხილის მიმღები პუნქტი, სახერხი ქარხანა და ელექტროწისქვილი.

კლუბში 700 კაცი ეტევა. მაჩხაანელები აქ სისტემატურად უყურებენ ახალ ფილმებს, მართავენ კონცერტებსა და სპექტაკლებს. არც წიგნის კითხვისათვის იშურებენ დროს. სოფლის მდიდარ ბიბლიოთეკას 2000 მუდმივი მკითხველი ჰყავს; მოწყობილი აქვთ შიდასაკოლმეურნეო რადიოგადაცემებიც.

სოფელში ფართო, მოასფალტებული გზით შედიხართ, გზის გაყოლებით ლამაზი მესერებია, მათ უკან ორსართულიანი კოპწია სახლები დგას. ერთ-ერთი სახლის ჭიშკრიდან მოხუცი კაცი ძროხას მოერეკება. უკან შვიდი-რვა წლის ბიჭი მოსტირის.

— ხომ არ დაკლავ, პაპა, კანჯარას, ხომ არ დაკლავ?..

— არა-მეთქი, ბიჭო, ფერმაში მიმყავს.

— გამარჯობა, თედო პაპა!—ესალმება მოხუცს





კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნიკოლოზ მამაიაშვილი,—საით გაგიწევია?

— ფარხაჩაანში, ჩემო ნიკოლოზ, ე ძროხა უნდა მივუყვანო ფერმას, რაღად მინდა აბა,—იღიმება თედო პაპა და შვილიშვილს უტატანებს,—ე მანდ გაჩუმდი თორემა, მე ვიცი!..

მართლაცდა, რათ უნდა თედო პაპას ძროხა! სოფელში თითქმის აღარავისა ჰყავს. ვისაც სურს, ყოველდღე შეუძლია კოლმეურნეობისაგან თხუთმეტ კაპიკად იყიდოს ლიტრი რძე. სოფლის საშუალო სკოლაში, სადაც ხუთასამდე მოსწავლეა, ბავშვებიც, კოლმეურნეობის თაოსნობით, უფასოდ იღებენ საუზმეს: დაშაქრულ რძესა და პურს. სოფელში ერთი დაწყებითი სკოლაც აქვთ. იქაც უფასოდ საუზმობენ მოსწავლეები.

ძალაუნებურად გახსენდება საყვარელ ძროხას გამოტირებული ბიჭუნა. ის ბიჭუნა პირველი კლასის მოსწავლეა. ისიც ასე უფასოდ საუზმობს სკოლაში. მას ჯერ არ ესმის, რას ნიშნავს ეს. გავა დრო, გაიზრდება ბიჭუნა, დავაჟკაცდება, და როცა კომუნიზმის ეს დღევანდელი ყლორტები გაიფურჩქნება, ღიმილით გაახსენდება თავისი ბავშვობა, გაახსენდება ეს დღე და ჭაღარა პაპა, რომელიც მშვიდად მიერეკებოდა ფერმისაკენ ლამაზ კანჯარას.

* * *

ფერმისაკენ მიმავალმა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის სახნავ-სათესების სივრცე რომ იგრძნო, თვალი შირაქის ველს და თაფლიანთ ხევის, ვაკისა და კოდის ბორცვებს შორის გაჭიმულ მინდვრებს უნდა გადაავლო. 25 ათასი ჰექტარი მიწა აქვს კოლმეურნეობას მუდმივ სარგებლობაში. აქედან 5.800 ჰექტარი სახნავ-სათესია, 269 ჰექტარი ბაღ-ვენახებს უჭირავს, 13 ათას ჰექტარს კი საძოვრებად იყენებენ. დანარჩენი ტყეებსა და ყამირებს უკავია. ოც წელიწადში დამატებით კიდევ 7 ათას ჰექტარს აითვისებენ.

კოლმეურნეობის შემოსავალი 2.860.000 (ახალი ფულით) მანეთს აღემატება. აქედან მილიონ მანეთზე მეტი მეცხოველეობაზე მოდის. მარტო მსხვილფეხა საქონელი 3225 სული ჰყავთ, ცხვარი—25 ათასი, ფრინველი – 20 ათასი ფრთა. გაივლის ოციოდე წელი და მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 7 ათას სულს მიაღწევს, ცხვრისა — 80 ათასს, ღორისა — 6.500. მარტო მეცხოველეობით კოლმეურნეობა 4 მილიონ მანეთ შემოსავალს მიიღებს, სულ კი, მთელი შემოსავალი 10 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ჰოდა, ამ დოვლათსა და ბარაქას ზემომაჩხაანელები ახლავე უმტკიცებენ საძირკველს, საშვილიშვილო არხი გაჰყავთ აქეთ, თორმეტ ათას ჰექტარს მორწყავს ეს არხი და შირაქის ველებს სამუდამოდ ააცილებენ გვალვას.

მინდორში ერთ ადგილას ტრაქტორისტები ისვენებენ. იქვე თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქისტი ბიჭი წყლის კასრთან ჩამჯდარა და ფეხებს იბანს. ერთი წელი მწყემსად იყო აქ, ახლა დედ-მამა ჩამოსვლია და სასწავლებლად მიჰყავთ რუსთავში. ცოტა დაშორებით, შარაგზის პირას თუშურქუდიანი ყმაწვილი დგას და კაკლის ნერგებს რგავს. ეს ის თუშურქუდიანი ყმაწვილია, ავტობუსიდან რომ წარამარა ესალმებოდა მწყემსებს.

— ნახვამდის, კახა, მივდივარ!—უძახის ქისტი ბიჭი.

— მაშ მიდიხარ, ბიჭო?—წელში იმართება კახა.

— ჰო.

— მალე ჩამოდი. აი, კაკალსა ვრგავ, გაიზრდება და ამის ჩრდილში ჩამოვსხდეთ ხოლმე.

— იჰ, ეგ როდის გაიზრდება?

— მალე, მალე! გაიზრდება და მერე როგორ!

ჰო, ქისტის ბიჭო, გაიზრდება ის კაკალი, დიდი გაიზრდება. დიდები იქნებით შენც და კახაც, სულ სხვა ცხოვრება იქნება მაშინ, უფრო ბედნიერი, უფრო ნათელი. დასხდებით ძმობილები იმ კაკლის ჩეროში და შვილებს უამბობთ თქვენი მოუსვენარი ბავშვობის მართალ ამბებს.

* * *

ფერმა დიდი აქვს კოლმეურნეობას. წელს მეწველი ძროხების რიცხვმა 864 სულს მიაღწია, ოცი წლის შემდეგ კი 2.600 სულს გადააჭარბებს. ფერმის მუშაკებს საქმე არ ელევათ. მექანიზებულ ბოსლებს კრიალი გააქვთ. ძროხები საბალახოდ არიან გამოშლილნი. კარებში მოწინავე მწველავი ჩიტო ჯანაშვილი გვეგებება. თუშური ქუდიდან თხელი თმა გადმოშლია. იღიმება და ღაწვებზე ორი ღრმა ნაოჭი აჩნდება. მერი კვაჭანტირაძის ამბავი რომ შეუტყვია, ჩიტოს უთქვამს: «ე პატარა გოგო როგორ უნდა მჯობდესო» და სართიჭალელი ქალიშვილი შეჯიბრებაში გამოუწვევია. შარშან თითო საფურაქე ძროხაზე ოთხი ათასი ლიტრი რძის ნაცვლად ხუთი ათასი მოუწველია, წელს კიდევ უფრო მეტის მოწველას აპირებს.

ფერმაში რადიორეპროდუქტორია ჩართული, ფერმის მუშაკები ყურადღებით





უსმენენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მგზნებარე სიტყვას ჩვენი ცხოვრების დიადი პროგრამის შესახებ. აქვე ზის თედო პაპაც, რატომღაც კახა და ქისტი ბიჭი მახსენდება, წელან რომ ერთმანეთს დაემშვიდობნენ. მახსენდება კახას სიტყვებიც: «გაიზრდება და მერე როგორ!» და ერთი წუთით გაზრდილი კაკლები მიდგება თვალწინ, ოცი წლის შემდეგ გაზრდილი კაკლები.

...ჰყვავის და ხარობს ზემო მაჩხაანი. სადღაა დღემდე აქა-იქ შემორჩენილი ოკრობოკრო გზები და პატარა, მხარმოქცეული სახლები. სოფელი ქვიტკირის ორსართულიანი ლამაზი შენობებითაა დამშვენებული, რომლებსაც ცაში შეუტყორცნიათ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების საცეცები. თვალს იტაცებს ახალი კინოთეატრი, სპორტის სასახლე, უნივერმაღის, კლუბისა და სკოლების დიდებული შენობები, სოფლის მოასფალტებულ გზებზე დაჰქრიან შიდამიმოსვლის ავტობუსები, რომლებსაც უფასოდ დაჰყავთ მგზავრები. ერთ-ერთი ამ ავტობუსით გაემგზავრება კახა ვერტმფრენების დასაჯდომისაკენ, სადაც რუსთავიდან ჩამოფრენილ თავის ყრმობის მეგობარ ქისტ ბიჭს დახვდება. გაუკვირდება სტუმარს ზემო მაჩხაანის ფერისცვალება. ნახავს თვალწარმტაცი ვიტრინებით, ლამპიონებითა და ყვავილნარებით დამშვენებულ ქუჩებსა და ფართო მოედნებს, სოფლის ცაში მოფარფატე ვერტმფრენსა და მეგობრის ბინაში ანთებულ გაზსა და მოციმციმე ტელეეკრანს, სამზარეულო ელექტრომოწყობილობასა და ცენტრალური გათბობის ბატარეიებს. მანამდე კი სასადილოში შეიპატიჟებს კახა მეგობარს, «მაჩხაანურითა» და მცვრიანი წვადით გაუმასპინძლდება. იქიდან კი ისე გამოვა, ჯიბეში ხელსაც არ ჩაიყოფს. აქ ხომ უფასოდ საუზმობენ მაჩხაანელები. მერე კაკლის ხეივნით გაჰყვებიან სოფლის გზას, სოფლისაო, იტყვის კაცი, მაგრამ რაღა უგავს ზემო მაჩხაანს სოფელს, ქალაქისაგან ვეღარ არჩევს სტუმარი. კაკლები კი შრიალებენ, მათი დარგული და მათსავით დავაჟკაცებულნი, და ალიცლიცებულ ჩრდილებს ფეხქვეშ უგებენ მეგობრებს.

...რეპროდუქტორი დადუმდა. დიქტორმა დაამთავრა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გადმოცემა. მწველავები წამოიშალნენ.

— აგაშენოთ ღმერთმა! — ჩაილაპარაკა თედო პაპამ და ცუდად დაფარული სიხარულით გაგვიღიმა, — მითომ მეც მოვესწრები იმ ცხოვრებას?..

ჰაი-ჰაი, რომ მოესწრები, თედო პაპავ, მოესწრები და მერე როგორ!



# საქართველო და ჩემი სურვილები

## იაროსლავ იედლიჩკა

მესამედ ჩამოვედი საქართველოში წინასწარ მოხაზული გეგმით. მინდოდა გავცნობოდი სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც ჩემთვის პრაღაში მიუწვდომელია (პრაღაში ყველა ქალაქის ბიბლიოთეკებიდან შეიძლება წიგნების მიღება, მაგრამ სამწუხაროდ თბილისიდან კი არა და ალბათ პირიქითაც). მაინტერესებდა ენათმეცნიერების საკითხები და ეპიგრაფიკა ენათმეცნიერის თვალსაზრისით. აგრეთვე მინდა შევისწავლო ქართული ენების მონათესავე ენებიც, სვანური და სხვა ენა. ჩემთვის რჩებოდა გადაუწყვეტელი რამდენიმე საკითხი, რომელიც აფხაზურ ენას ეხება.

დასახულ ამოცანებიდან ჯერ ცოტა შევასრულე. ამის მიზეზი ნაწილობრივ ის იყო, რომ საქართველო ზეიმობდა კომუნისტური პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს, სამი დღით ადრე ჩეხოსლოვაკიამაც იზეიმა მისი განთავისუფლების 16 წლისთავი და ამგვარად ორი დღესასწაული ორი მოძმე ხალხისა ერთმანეთს დაემთხვა. ჩემმა მასპინძელმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურულ ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მოაწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, სადაც ჩეხოსლოვაკიის ბევრ მეგობარს შევხვდი.

საქართველოს კულტურის ზრდა ჩემთვის ნაცნობია, — ყოველ დღე ვადევნებ პრაღიდან თვალყურს მის ახალ წარმატებებს ქართული ენათმეცნიერების, ისტორიის, ფილოლოგიის და ლიტერატურის ისტორიის დარგში. მაგრამ აქ, თბილისში, საშუალება მომეცა მენახა საქართველოს წარმატებები ჩემთვის უცნობ დარგებშიც. პირველსავე დღეებში ვნახე თქვენი რესპუბლიკის დიდი წარმატებები ტექნიკის გამოფენაზე, როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაში, აგრეთვე ქიმიურ და სამკურნალო საშუალებების წარმოებაში.

თბილისის უნივერსიტეტმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიუძღვნა საზეიმო საღამო და სამეცნიერო სესია. ჩემი მადლობა უნდა მოვახსენო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სამეცნიერო სესიაზე მიწვევისათვის, სადაც მე მომეცა საშუალება მიმეღო მონაწილეობა და წამეკითხა მოხსენება ქართულად თემაზე: „შენიშვნები ძველი ქართულის სტრუქტურაზე“. აკადემიაში და უნივერსიტეტში ყოველთვის ვპოულობ სათანადო დახმარებას. ძალიან ვაფასებ აკადემიკოსების აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის და სხვათა რჩევას. დიდი ინტერესით მოვისმინე ჩეხოსლოვაკიის დიდი მეგობრის, სერგი ჟღენტის მოხსენება ფონეტიკის ახალი მეთოდების შესახებ.

ვიყავი უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც თბილისის გულში აღმოვაჩინე პატარა ჩეხური კუნძული, იქ დაუღალავ შრომას ეწევა ელენე ერისთავი ჩეხური ენის მცოდნეთა აღზრდაში. მან რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა ჩეხურიდან ქართულად და გააცნო ქართველ მკითხველს ჩემი მშობლიური ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუში. მე ველაპარაკე მის სტუდენტებს, პირველ ქართველ მერცხლებს, რომლებიც ჩეხურ ენას სწავლობენ. მე და ჩემს მეუღლეს გვჯერა, რომ ისინი სწავლობენ ჩეხურს დიდი ენთუზიაზმით, მათ კარგი გამოთქმა აქვთ. იციან ზეპირად რამდენიმე ჩეხური ლექსი. მათ მთხოვეს, რომ წამეკითხა რუსთაველის ჩეხური თარგმანიდან რამდენიმე ტაეპი. ისინი მოუთმენლად ელიან ჩეხური ენის სახელმძღვანელოს გამოსვლას ქართველთათვის, რომელსაც ვამზადებ მე ელენე ერისთავის დახმარებით. წაგვიკითხეს საკუთარი ლექსები და პატარა ბავშვებმა იმღერეს ჩეხური და ქართული ხალხური სიმღერები, რამაც უზომოდ აგვაღელვა.

მოვიტანე პრაღის განათლების ინსტიტუტის დოც. ფრ. ჰიპლიკის და ჩემი ვაჟიშვილი იარომირ იედლიჩკას პროექტი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ. პროექტი უსათუოდ დააინტერესებს ქართველ სპეციალისტებს. ეს შესაძლოა გახდეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის და მეგობრობის ახალი საწინდარი.

საჯარო ბიბლიოთეკაში ვეძებ მასალა ჩეხი მწერლების შესახებ, რომლებიც მე-19 საუკუნეში საქართველოში იყვნენ, მაგალითად პოეტები ხვ. ჩეხი და იულიუს ზეიერი. ჩეხი და ქართველი ერის კულტურული ურთიერთობის ისტორია აინტერესებს აგრეთვე ქართველ ისტორიკოსებს.



საკმაო მასალა შევკრიბე ქართულ საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიის შესადგენად, რომელსაც ვამზადებ პოეტ სვატა კადლეცთან ერთად. მომავალ წელს გამოვა დავით გურამიშვილის „მხიარული გაზაფხულის“ ჩეხური თარგმანი, რომელიც შევასრულე ჩეხ პოეტ იაროსლავ საიფერთან ერთად. მხატვარი სტრნადელ, რომელიც ცნობილია ქართული ხალხური ზღაპრების ჩეხური თარგმნის ილუსტრაციებით, შარშან შემოდგომაზე იყო საქართველოში და შეკრიბა მასალა „მხიარული გაზაფხულის“ ილუსტრაციებისათვის. ვამზადებ აგრეთვე ქართული სიმღერების კრებულს ჩეხურ ენაზე.

ჩეხური ენის ჩემი სახელმძღვანელო უკვე დამთავრებულია და იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი სარგებლობას მოუტანს ქართველ მეგობრებს. საქართველოში ჩვენი ენისადმი და კულტურისადმი დაინტერესება ძალზე დიდია, მაგრამ ჩეხური წიგნები აქ ცოტაა.

ჩემი სურვილია, რომ კიდევ უფრო და უფრო განმტკიცდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა. კარგი იქნებოდა, რომ ჩეხი მეცნიერები და ჩეხი პოეტები მშობლიურ ენაზე ელაპარაკებოდნენ ქართველ პოეტებს და ქართველ მეცნიერებს და პირიქით, რომ ჩვენს მეცნიერებს და პოეტებს ესმოდეთ ქართული ენა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის ენები, რომ ვილაპარაკოთ თარჯიმანის გარეშე.

**რედაქციისაგან**

**პრაღის უნივერსიტეტის პროფესორმა, ენათმეცნიერ-ქართველოლოგმა იაროსლავ იედლიჩკამ სპეციალურად ჟურნალ „დროშისათვის“ ქართულ ენაზე დაწერა ზემოდ დაბეჭდილი წერილი.**




# კიროვის ქუჩა №1

ფოტო **გურამ თიკანაძისა**

ყველა თბილისელს უნახავს ეს სახლი, აბა ვინ მოთვლის, რამდენჯერ აუვლია და ჩაუვლია მის წინ.

გარეგნულად იგი არაფრით არ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, სწორედ ამიტომაც არის, რომ ერთხელაც კი არ მოგვსვლიათ სურვილი ცნობისმოყვარე თვალით შეგვეხედათ მის ეზოში.

ახლა კი მოდით, დაარღვიეთ ძველი ტრადიცია, ფართოდ შეაღეთ სადარბაზო შესასვლელის კარი და ჩვენთან ერთად სტუმრად ეწვიეთ კიროვის ქუჩა №1 სახლის მობინადრეებს.

როგორც კი მარმარილოს კიბის რამდენიმე საფეხურს აათავებთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ოვალურ თაღზე გემოვნებით ამოკვეთილი ჰორელიეფი, რომელსაც თეთრი ასოები ამშვენებს.

„სასტუმრო ინტერნაციონალი", — კითხულობთ წარწერას და თან გაოცებით იჩეჩავთ მხრებს.

დიახ, თქვენთან ერთად შეიძლება ბევრი სხვა თბილისელიც გაოცდეს, როცა გაიგებს, რომ ლენინის მოედნის კუთხესა და კიროვის ქუჩის დასაწყისში მდებარე ოთხსართულიანი შენობა ოდესღაც სასტუმრო „ინტერნაციონალი" იყო...

პირველი მობინადრე, რომელსაც ფრთხილად მივუკაკუნეთ კარზე, ახალგაზრდა ქურთი პოეტი აზიზ სლოევი აღმოჩნდა.

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა! — გამართული ქართულით გვეუბნება სანდომიანი სახის ვაჟკაცი და თან ცნობისმოყვარეობით შემოგვცქერის. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა აზიზამ ჩვენი მოსვლის მიზეზი გაიგო, ორივე ხელი გაშალა და ღიმილით გვითხრა:

**ეზოს ბავშვები დღეობაზე ეწვივნენ თავიანთ მეგობარს.**



— კიროვის პირველ ნომერში სამოცდაოთხი კომლი ცხოვრობს, მოხარული ვარ, რომ ამ ეზოს გაცნობა ჩემი ოჯახიდან დაიწყეთ.

ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა ჩვენი მასპინძელი: ხან გატაცებით გველაპარაკება ახლად მოყვანილი მეუღლის გულისზარის შესახებ, ხან თავისი ცხოვრებისა და კარის მეზობლების ამბავზე გვიყვება, ხან კიდევ მშობლიური ქალაქის — თბილისის შესახებ ჩამოგვიგდებს სიტყვას.

აბა რა ენა მოყვება, რამდენი ტანჯვა უნახავთ შორეულ კუთხიდან ჩამოხიზნულ აზიზას წინაპრებს, რამდენი უღიმღამო წელი დაულევიათ არაადამიანურ ცხოვრებასა და ლუკმაპურისათვის ძებნაში.

ისკო სლოევი — აზიზას მამა, ნესტიანი სარდაფითა და ზურგზე მოგდებული კურტნით შეხვდა ოქტომბრის განთიადს.

მამა-პაპათა ნაოცნებარ ბედნიერ ცხოვრებას მოესწრო ისკო, ალალი შრომით, დოვლათით აავსო ოჯახი და სწავლას მოწყურებული შვილებიც თავთავიანთ კეთილ გზაზე დააყენა.

უფროსი ვაჟი ბაღჩო თბილისის ქურთული დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობს, აზიზა კი წელს ამთავრებს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს.

— სწავლასაც ვასწრებ, პიონერთა სასახლეშიც ვმსახურობ და მომავალი წლისათვის ლექსების წიგნსაც ვამზადებ გამოსაცემად, — ღიმილით გვეუბნება აზიზა და თან გულისზარს გასცქერის, რომელიც ხილსა და ნამცხვრებს ალაგებს მაგიდაზე.

საუბარს მოულოდნელად გვაწყვეტინებს ტელეფონის ზარის წკრიალი.

— გისმენთ, — დინჯად ამბობს აზიზა და მაშინვე გახალისებული დასძენს, — კარგი, ახლავე ამოვალ, ჩემთან სტუმრები არიან რედაქციიდან და ერთად ამოვალთ...

— პოეტი ალექსანდრე ბეგაშვილი მესაუბრა, ზედა სართულზე ცხოვრობს. ამოდი, შენი ახალი ლექსები წამიკითხეო.

— როცა ორი პოეტი ერთ ეზოში ცხოვრობს, მუდამ დავა და გაუთავებელი კამათია, — ნიშნისმოგებით ურთავს გულისზარი.

მართალს ამბობს ოჯახის დიასახლისი: როგორც კი დროს მოიხელთებს აზიზა, მაშინვე თავის მეზობელთან—პოეტ ალექსანდრე ბეგაშვილთან გარბის ხოლმე და ახლად დაწერილ ლექსებზე მოუთმენლად მოელის მსჯავრის გამოტანას.

მერე კი დასხდებიან და გვიანობამდე კამათობენ პოეტურ სახეებზე, რითმებზე, რიტმზე და ვინ იცის კიდევ რაზე.

— ჩვენს დახლართულ დერეფნებში გზის გაგნება გაგიჭირდებათ, ჰოდა, ერთად წავიდეთ, თქვენს მეგზურობას ვიკისრებ, — გვეუბნება აზიზა, — კარგი იქნება, პირველად ჩემს კარის მეზობელს, მომღერალ მედეა გაბუნიას ეწვიოთ, მერე კი მთელი ეზოს „დიასახლისი" დეიდა ნოვარდი მოინახულოთ...

კიროვის ქ. №1 მობინადრეებს უხარიათ და ეამაყებათ, რომ მათ ეზოში ცხოვრობს თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მედეა გაბუნია, რომელიც საუკეთესო ადამიანი და ყველას მიმართ გულისხმიერი მეზობელია.

ხშირად, ძალიან ხშირად თითქმის მთელი ეზო გაიკრიფება ხოლმე, რათა კოლექტიურად მოუსმინონ ოპერას, რომელშიც მედეა იღებს მონაწილეობას.

მიდით, გაესაუბრეთ რომელ მობინადრესაც გნებავთ და ყველა მათგანი დაწვრილებით მოგიყვებათ, რომ მედეა გაბუნიამ წარჩინების დიპლომით დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, რომ მისი დებიუტი 1944 წელს



**პოეტები ალექსანდრე ბეგაშვილი და აზიზ სლოევი კითხულობენ ახალ ლექსებს.**

შედგა, როცა მან ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში" საუკეთესოდ შეასრულა ტატიანას პარტია...

პატივცემულ მედეა გაბუნიას იმ დროს მივუსწარით, როცა კონსერვატორიაში წასასვლელად ემზადებოდა.

ჩვენს შეკითხვებზე მან ჯერ უხერხულად გაიღიმა, მერე კი მორიდებით გვიპასუხა:

— ბევრი არაფერი გამიკეთებია... მარგარიტას პარტია „ფაუსტში", ლეწამისა „ბაში-აჩუკში", მიქაელას — „კარმენში", ნესტან-დარეჯანის — „შოთა რუსთაველში", თამარის — „დემონში", დეზდემონასი „ოტელოში", ბატერფლაის — „ჩიო-ჩიოსანში", ქსენიასი „ბორის გოდუნოვში" — აი მოკლე და არასრული სია იმ პარტიებისა, რომლებიც შესრულებული მაქვს.

— უკანასკნელ ხანებში რამდენიმე პარტია შევასრულე საბავშვო ოპერებში, — განაგრძობს მედეა, — არც პედაგოგიურ საქმიანობას ვივიწყებ, აი ახლაც კონსერვატორიაში მივდიოდი, სადაც ახალგაზრდა თაობას ხმის დაყენებაში ვეხმარები...

დროს აღარ ვაკარგინებთ თავაზიან მასპინძელს, შემდგომ წარმატებას ვუსურვებთ მუშაობაში და უზარმაზარ აივანზე გავლით დეიდა ნოვარდის სანახავად მივეშურებით.

დეკემბრის თბილი დღე დგას. ეზოში გამოფენილი ბავშვები ასკინკილას თამაშში გართულან და მხიარული ჟრიამულით აყრუებენ იქაურობას.

ოთხივე სართულის აივნები მობინადრეებით ავსებულა. ზოგიერთი მათგანი საქმიანად დაფუსფუსებს ოთახის წინ, ზოგიერთები სარეცხის გაფენაში ეხმარებიან ერთმანეთს, სხვები კი აივანზე დამსხდარან და გულღია საუბრით იქცევენ თავს.

მილიციის ზემდეგი ვანო ნამგალაური და ტაქსის შოფერი გარნიკ გევორქოვი უკვე რამდენიმე თვეა გაცხარებით დაობენ და დღემდე ვერ შეთანხმებულან, რომელი მათგანი უკეთესად თამაშობს ნარდს.

აი ახლაც, სამფეხა სკამებზე ჩამომსხდარან მეზობლები, მუხლებზე ნარდი გადაუშლიათ და მხიარული შეძახილებით აგორებენ კამათლებს.

მარიამ მათევოსიანის კარგამოღებულ ოთახში ეზოს ახალგაზრდებს—თენგიზ ნადარეიშვილს, სერგეი პოსტოლოვს, ნათელა ნოვიკოვას, ლენა გევორქოვას, ლიანა მიქელაძეს მოუყრიათ თავი და რადიოლას მელოდიაზე „თანამედროვე ფოქსტროტის" გაკვეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებს გადიან; მეორე სართულის აივანზე გადმომდგარი დეიდა იდა კი ხელისდაქნევით აუწყებს ბავშვებს, საცაა ტელესტუდიის დილის გადაცემები დაიწყებაო...

ქვედა სართულზე მოულოდნელად სიცილი და ჟივილ-ხივილი გაისმა.

— რაშია საქმე?—იკითხა ზედა სართულიდან გადმოყუდებულმა ალექსანდრე ბეგაშვილმა. მას სხვა მეზობლებიც შეუერთდნენ — რა მოხდა, რა ამბავში ხართო?

— ონიკას წერილი მივიღეთ, კაჟივითა ვარ, კაჟივითაო! — ასძახა ბუთხუზა ბიჭუნამ უფროსებს.

— იხარე შვილო!

— სულ გამარჯვებით გევლოს! — მეზობლებმა ყოველი მხრიდან გულალალად დაულოცეს გზები საბჭოთა არმიის რიგებში მყოფ ონიკ აროიანს.

ონიკასთან ერთად შარშან მარატ ნიკონოვი და გერიკ გევორქოვიც გააცილეს საბჭოთა არმიის რიგებში. მათგან მიღებულ წერილებს ყოველთვის დიდი სიხარული მოაქვს ეზოში. მერე ჯგუფ-ჯგუფად დასხდებიან ხოლმე მეზობლები და „თავიანთ ხელში გაზრდილ ბიჭებს“ კოლექტიურად უწერენ ახალი ამბებითა და ათასგვარი დარიგებებით სავსე წერილებს.



პერსონალური პენსიონერი ანასტასია ილინა გატაცებით გვესაუბრება სერგეი კიროვის შესახებ.

ახლაც კმაყოფილებით იღიმებიან რიკულებიან აივანზე იდაყვდაყრდნობილი მობინადრეები და ხმამაღლა ჩასძახიან ქვევით:

— უჩვენოთ არ მისწეროთ პასუხი, ჩამოვალთ და ერთად დავწეროთ...

... სუსტი აღნაგობისა და სათნო სახის ქალი გამოდგა დეიდა ნოვარდი. შევცქერით და უტყუარი ალღოთი ვგრძნობთ, თუ რაოდენ კეთილი და მოსიყვარულე გულის ადამიანია იგი. ტყუილად როდი შეურქმევიათ მისთვის „ეზოს მამიდა და დიასახლისი“. 30 წელზე მეტია ამ სახლში ცხოვრობს ნოვარდ მათევოსიანი, თუ ვინმეს რამე გაუჭირდა, პირველ რიგში დეიდა ნოვარდის მიმართავს ხოლმე, სიხარული მოვა ეზოში და ისევ დეიდა ნოვარდია ლხინის თადარიგის დამჭერი და მოთავე.

— ეს სახლი ტყუილად როდი იყო სასტუმრო „ინტერნაციონალი“, — დინჯად და სვენებ-სვენებით გვესაუბრება ნოვარდი, — ამ ეზოში მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს მეგობრულად. აბა ჩახედეთ საბინაო დავთარს — ვის არ შეხვდებით შიგ: ქართველ ქეთო მირზაშვილს და რუს ანასტასია ილინას, უკრაინელ დაშა კრავჩენკოს და სომეხ ასია სეროფიანს, ებრაელ ლონია კუშლერსა და ოს გალინა ჯიგაევს. ჩვენთან ცხოვრობენ ქურთები და აისორები, ბელორუსები და აზერბაიჯანელები...

— ჩვენს ეზოში თითქმის ყველა პროფესიის ადამიანს შეხვდებით, — სიტყვას ურთავს აზიზა და თან გარშემო შემოკრებილ მეზობლებს გასცქერის, — პარტიის წევრი ნელი ცხადაძე ფეხსაცმელების ატელიეს დირექტორად მუშაობს, ეს ატელიე კი დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველთვიურ გეგმებს. გალინა ჯიოევი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ეზოში ექიმიც გვყავს და ჟურნალისტიც, ინჟინერიც და პროვიზორიც, რიგითი ფეიქარიც და დამლაგებელიც...

— ჩვენი ეზოს გაცნობა სრული არ იქნება, თუ ძველ რევოლუციონერს, ანასტასია ილინასაც არ მოინახულებთ, — ისევ დეიდა ნოვარდი ართმევს სიტყვას აზიზას და აივნის ბოლოსაკენ მიგვიძღვება.

პერსონალური პენსიონერი ანასტასია ილინა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი კიროვის ნაცნობი და თანამებრძოლი აღმოჩნდა. იგი აღელვებით იგონებს 1919 წელს, როცა ქალაქ ორჯონიკიძეში სერგეი კიროვს ხვდებოდა.

— ახლაც თვალწინ მიდგას სერგეი მირონის ძის შთამაგონებელი სახე, თითქოს ნათლად ჩამესმის კიდეც მისი მგზნებარე და ამაღელვებელი ხმა, — ამბობს ანასტასია პეტროვნა, — სასიხარულოა და საამაყო, რომ უქმად არ ჩაუვლია მის ღვაწლს, ჩვენი



საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს მედეა გაბუნიას იმ დროს მივუსწარით, როცა კონსერვატორიაში წასასვლელად ემზადებოდა.

ცხოვრების ამ ბედნიერ დღეებში კიროვი ისევ ხალხთან არის და ახალი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს მათ...

დიდხანს, დიდხანს ვესაუბრებით ამ კეთილ ადამიანებს და გულში გაფურჩქვნილი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ვტოვებთ კიროვის ქუჩის № 1 სახლს.

დედაქალაქში ნელ-ნელა ეშვება თბილისური ღამე. ფანჯრებში ერთმანეთის მიყოლებით ინთება სინათლე. ეზოში სიწყნარე და სიმშვიდე ისადგურებს.

გათენების ხანს კი ისევ ჟრიამულით გაიღვიძებენ კიროვის ქუჩა № 1-ის მობინადრეები, გაიღვიძებენ და ჩვეული ხალისით ჩაებმებიან შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებაში.

**გალაქტიონ მახარაძე**





მხატვარი გ. ოჩიაური

## ელიზბარ მაისურაძე

# შახტიკოტე

### მ ო თ ხ რ ო ბ ა

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. კახეთის ერთ პატარა ქალაქში თავი მოეყარათ სამხედრო სასწავლებლებს. ყოველ კუთხიდან ისმოდა ომახიანი სამხედრო სიმღერები და ჯარისკაცთა მწყობრი ნაბიჯების ხმა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ეს მყუდრო ქალაქიც სამხედრო ცხოვრებით სუნთქავდა.

და ამ გაგანია ომის დროს, დაძაბულ და არეულ დღეებში, ამ პატარა ქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით ერთ მოხუცებულს, რომელსაც შახტიკოტეს ეძახდნენ. იქნებოდა ასე, სამოცისამოცდახუთი წლისა, მაღალი, ახოვანი, ოდნავ წელში მოხრილი. ზამთარ-ზაფხულ თუშური ქუდი ეხურა.

ეტყობა, პირის გაპარსვაზე არასოდეს ეფიქრა. სქლად წამოზრდილი, ჭაღარაშერეული წვერი მოუვლელობით უშნოდ გაფარჩხოდა და სარეველა ბალახივით მთელი სახე დაებურა.

იგი არავის აწუხებდა მათხოვრობით, არავის უწვდიდა ხელს. თუ ვინმე მოწყალებას გაიღებდა, მადლობასაც არ ეტყოდა, იმ წუთში შეტრიალდებოდა და გაშორდებოდა, თითქოს სადღაც ეჩქარება და არ უნდა დრო დაკარგოსო.

მიდიოდა თავჩაქინდრული, გარინდებული, დამუნჯებული და დაბეჩავებული. არც ვინმეს გამოელაპარაკებოდა და სალაპარაკოდ არც თვითონ გაუჩერდებოდა.

მხოლოდ მაშინ შეჩერდებოდა, როცა ჯარის ნაწილები სიმღერითა და ფეხის რიტმული გუგუნით შემოეყრებოდნენ წინ. შახტიკოტე წელში გასწორდებოდა, თავს მაღლა ასწევდა, წამწამებს დაახამხამებდა, თვალის გუგები გაუფართოვდებოდა და ხარბად დაუწყებდა მზერას მწყობრში მიმავალ წითელარმიელებს. უცქერდა მთელი გრძნობით, მთელი გულისყურით. უცქერდა გაოგნებული და გარინდებული. უცქერდა მანამდე, სანამ ისინი თვალს არ მოეფარებოდნენ, სანამ არ მინელდებოდა სიმღერის უკანასკნელი გუგუნი. მაშინ კი, აიკრავდა გუდა-ნაბადს და ბედისამარა გაჰყვებოდა თავის გზას, ქუჩიდან ქუჩაში, უბნიდან უბანში.

პატარა ქალაქში თითქმის ყველა იცნობდა ამ კაცს. იცოდნენ, რომ შახტიკოტე ერქვა. მხოლოდ არ იცოდნენ, ვინ იყო და საიდან იყო მოსული, რატომ დაეხეტებოდა მათი ქალაქის ქუჩებში, რა დარჩენოდა აქ, ან რა დაკარგოდა, რომ ეპოვნა.

ბავშვებს ძალზე უხაროდათ მისი დანახვა. როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ, შორსაც რომ ყოფილიყო, მაშინვე შესძახებდნენ:

— შახტი კოტე! შახტი კოტე!

ის ანგარიშს არ უწევდა, ვინ ეძახდა ან საიდან ეძახდნენ. როგორც კი გაიგონებდა ამ ხმას, შახტიკოტეო, ინსტიქტურად მაშინვე შეხტებოდა, შეხტომის დროს თავს მთელი ძალით მაღლა აიქნევდა და ქუდს გადააგდებდა. მერე სწრაფად შეტრიალდებოდა, ქუდს დასწვდებოდა, თავზე მოიგდებდა და უკან მოუხედავად თავის გზას გაუდგებოდა. და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ, ყოველ დღე, ყოველ საათს...

ბავშვები იცინოდნენ, ხარხარებდნენ, ერთობოდნენ. ალბათ, ამიტომაც ეძახდნენ ამ უბედურს შახტიკოტეს.

ზოგნი ამბობდნენ მასზე გიჟიაო, ზოგს მუნჯიც ეგონა, რადგან კაცთან დალაპარაკებული არავის ენახა. ჭკუაზე რომ არ იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ მუნჯობისა კი რა მოგახსენოთ. კახეთის შორეულ კუთხიდან შემოხიზნოდა ქალაქს. იქნება მეც არ დავინტერესებულიყავი მისი ბედით, ერთ გარემოებას რომ არ აეხადა ფარდა ამ კაცის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრებისათვის.

ზაფხულის მშვენიერ კვირა დღეს, მე და ერთი ჩვენი კურსანტი—თედო ვეშაგური, ქალაქში ვსეირნობდით. თავისი ვაჟკაცური აღნაგობის გამო თედოს ზედმეტ სახელად ბიჭები არსენას ეძახდნენ.

ჰოდა, სეირნობის შემდეგ მე და თედო ყაზარმაში ვბრუნდებოდით. ჩვენი ნაწილი ქალაქის დასაწყისშივე ერთ-ერთ საშუალო სკოლის შენობაში იყო მოთავსებული. წინ დიდი ფართო შარაგზა ჩაუდიოდა. გზას აქეთ-იქიდან ბაღ-ვანახები ერტყა და ღობის ძირას ჩარიგებულ თუთისა და კაკლის ხეებს სასიამოვნოდ დაეჩრდილა.

ჯერ ყაზარმას არ დავახლოვებოდით, რომ გზის ნაპირას, ჩრდილში, შახტიკოტეს მოვკარით თვალი. იგი ღობის ძირას ჩამჯდარიყო, ზურგით ლეღვის ხეს მიყრდნობოდა და ისვენებდა. ერთი თვალი მოხუჭული ჰქონდა, მეორე კი ღია. ბრმაც ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე და თედოს მივუბრუნდი:

— მოდი, ერთი გამოველაპარაკოთ!

— მივიდეთ! — მომიგო თედომ.

მივადექით.

— გამარჯობა, ძია კოტე! — მივესალმე თავაზიანად და სახეში ჩავაცქერდი.

დღემდე არასოდეს შევხვედრივარ ასე პირისპირ და არც არასოდეს დავკვირვებივარ, მაგრამ გამაოცა მისი სახის დახვეწილობამ.

ჩემს მისალმებაზე მოხუცი შეკრთა, წამოიწია, მოხუჭული თვალი ფართოდ გაალო. ის თვალი საღი ჰქონდა. საღი რომ მეგონა — ჭიან ტყემალივით ამოშრეტოდა. საწყალს მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ჩასძინებოდა და ვინანე, რატომ გავაღვიძე-მეთქი.

სალამი არ დამიბრუნა. ჯერ მე დამაცქერდა, მერე მზერა თედოზე გადაიტანა და აღარც მოუშორებია, ზედ შეეყინა.

უყურებდა თედოს, უყურებდა ხარბად, დამშეული, გაოცებული. უყურებდა ისეთნაირად, თითქოს დიდი ხნის დაკარგული მახლობელი ადამიანი იპოვნა და ვერ დარწმუნებულა, მართლა ის არის, თუ არაო. მის სახეზე აშკარად იხატებოდა ის დიდი შინაგანი სულიერი ტკივილი და სიხარული, რომელიც ახლა მის გულში ბობოქრობდა.

მე თვალმოუშორებლივ შევცქეროდი ბერიკაცს და აშკარად ვხედავდი ამ დიდი სულიერი დაძაბულობის შედეგად როგორ უთრთოდა ბაგეები, როგორ უთამაშებდა სახის ნაკვთები და, ბოლოს, მთლიანად როგორ აიტანა კანკალმა ეს ვეება კაცი.

ეტყობა, თედო ვიღაც ძალზე ახლობელს მიამგვანა. ზეზე წამოვარდა, ხელები მძლავრ გაიწვდინა და ხმამაღლა შეღრიალა:

— ბიჭო რამდენი ხანია დაგეძებ და ძლივს გიპოვნე! შენ გენაცვალე, არსენ, რახან ცოცხალსა გხედავ! აკი სთქვეს, რომ ფრონტზე დაიღუპაო. მე კი, არ დავიჯერე. ვიცოდი, რომ შენ აქ იყავი!..

მოხუცი ისე უცბად მოწყდა ადგილს, ისე მოულოდნელად ჩაიკრა თედო გულში და კოცნა დაუწყო, რომ იგი პირდაღებული სახტად დარჩა და გაოგნებულმა ველარაფერი მოახერხა.

— რამდენი გეძებე, არსენ, რამდენი ვიწვალე, სანამ შენ განახავდი! — ეუბნებოდა და ბეჭებზე სიყვარულით უთათუნებდა ხელებს, გულში იხუტებდა.

ამ მოულოდნელი ამბით რეტდასხმული თედო ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო მდგომარეობიდან. გაოგნებული სასაცილოდ გამოიყურებოდა. ბოლოს, როგორც იყო, მოვიდა გონზე, მოხუცს მკლავებიდან გაუსხლტა და გაკვირვებით წამოიძახა:

— ვინ არის ესა, კაცო, რას გადამეკიდა!..

მერე მე მომიბრუნდა, დაჭყეტილი თვალები მომაპყრო და შეშინებულივით მითხრა:

— წამო თუ ძმა ხარ, წამო ჩქარა!..

თედომ ხელი მომკიდა და, მიუხედავად იმისა, რომ მე წასვლა არ მინდოდა, ძალის-ძალით გამაქანა.

— რას გამირბიხარ, შვილო, ველარ მიცნობ მამაშენსა? წავიდეთ შინა, ვინ იცის, სულ გატიალდა იქაურობა!..

ხელგამოწვდილი მოგვდევდა უკან და ვედრებით მოგვბლაოდა.

ჩვენ ნაბიჯს ავუჩქარეთ. მოხუცმაც აუჩქარა ნაბიჯს. მალე ყაზარმას მივადექით. ის იყო, უნდა შევსულიყავით ყაზარმის კარებში და ისიც უნდა შემოგვყოლოდა უკან, რომ გუშაგებმა გზა გადაუკეტეს.

— გამიშვით კაცო, შვილი ძლივს ვიპოვნე და ნახვას მიშლით? — გაუძალიანდა მათ, — გამიშვით! იცით, რამდენი ვიწვალე მაგის ძებნაში? გამიშვით! — ყვიროდა და მოიწევდა.

კურსანტები, რომლებიც ეზოში გამოშლილიყვნენ, ალაყაფის კარებს მიაწყდნენ. მალე საკლასო ოთახებიც დაიცალა და ერთდროულად ყველამ აქ მოიყარა თავი.

მე გული მომითუთქა მისმა საცოდაობამ, ძარღვები მომიდუნა. ხმა ველარ ამოვიღე, კრინტი ვერ დავძარი, დავმუნჯდი. ალბათ, ისეთი შესახედაობა მქონდა, დანა რომ დაერტყათ, სისხლი არ გამომივიდოდა. ნეტა ამ ამბავს არ შევსწრებოდი-მეთქი, ვფიქრობდი და ვწყევლიდი დღევანდელ დღეს.

ჩემზე არანაკლებ ემოქმედა ჯარისკაცებზეც, სახეზე ყველას სამარისებური დუმილი შეჰყინვოდა და სიბრალულის გამომხატველი გრძნობით შესცქეროდნენ გუშაგების წინ მდგარ მოხუცს.

— საწყალს, ალბათ შვილი თუ დაეღუპა ფრონტზე და თედო ისა ჰგონიაო! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ვინ იცის! — დუდუნებდნენ ბიჭები.

ასეც იყო. როგორც შემდეგ შევიტყვეთ კოტეს თანასოფლელი გლეხისგან, მას ფრონტზე დაღუპოდა ვაჟი, რომელიც მთელ სიცოცხლეს ერჩივნა. აი, როგორ ყოფილა თავიდან ეს ამბავი:

ცოლი ადრე გარდაცვლოდა მოხუცს. სხვა ქალი აღარ გაეჭაჭანებინა სახლში, ბავშვი არ დამიჩაგროსო. ის ერთადერთი შვილი ჰყოლოდა და მთელი სიცოცხლეც მისთვის შეელია.

კარგი ვაჟკაცი ყოფილა თურმე არსენა. მთელი სოფლის ბიჭებისაგან სულ გამოირჩეოდა თავის მოხდენილი გარეგნობით. რა საქმეც არ უნდა ყოფილიყო, ტოლს არავის დაუდებდა. ის რომ სიმღერას შემოსძახებდა, სოფლის ბოლოში გაიგონებდით. მთელ ქვეყნად ღირდაო, გვარწმუნებდა გლეხკაცი.

იმ შემოდგომაზე უნდა დაექორწინებინა მამას შვილი, რომ ზაფხულში ომი დაიწყო. არსენა ფრონტზე გაეგზავნათ და მაშინვე დაღუპულიყო.

ამ უბედურ ამბავს ჭკუაზე შეეშალა კაცი. აკვიატებოდა აზრი, როგორც ეს ჩვევიათ სულიერად დაავადებულ ადამიანებს, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო და აქვე იმყოფებოდა. ის ხომ ჯარში გაწვევისას პირველად ამ ქალაქში ჩამოიყვანეს. ჰოდა, კოტეს მიეტოვებინა სოფელი და საძებნელად აქ ჩამოსულიყო.

ერთი-ორჯერ თანასოფლელებს წაეყვანათ უკან, მაგრამ არ გაჩერებულა. ჩემი არსენა უნდა ვიპოვნოო, გაიძახოდა. გამოქცეულა და მას შემდეგ ამაოდ დაეძებს თავის დაღუპულ ნუგეშს.

ახლა კი გასაგები გახდა ყველაფერი. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ამ კაცის ცხოვრება.

იმ საღამოს მოხუცი არ მოშორებია ჩვენი ყაზარმის ალაყაფის კარებს. ხან გაჭირვეულდებოდა, ძალით შესვლას მოითხოვდა, ხან გაჩერდებოდა და გუშაგებს ხვეწნას დაუწყებდა.

— მამაშვილობას, ჩემი შვილი აქ არის, გამიშვით ვნახო, ან დაუძახეთ, აქ გამოვიდესო!

ბიჭებმა ვერ დაარწმუნეს, რომ მისი შვილი აქ არ მსახურობდა, და რომ თედო მისი არსენა არ იყო.

— როგორ არა, — იმეორებდა აკვიატებულ სიტყვებს, — მე ჩემი თვალით ვნახე წეღან აქ რომ შევიდა. თქვენ მასწავლით, ჩემი შვილი ვინ არის?

ბევრი ელაპარაკნენ ბიჭები, მაგრამ ამაოდ. ფეხი არ მოიცვალა. დილით გუშაგებმა თქვეს: შუა ღამემდე არ მოგვშორებია, ხან წყნარად გვთხოვდა, ხან კი ისე გაავდებოდა, ძლივს ვამაგრებდითო. მერე, რომ დაიღალა ხვეწნით, ხელი ჩაიქნია და წავიდაო.

მას შემდეგ ეს კაცი ჩვენი ყაზარმის ხშირი სტუმარი გახდა. ჯერ გათენებული არ იყო კარგად, რომ მოგვადგებოდა. დაჯდებოდა გზის ნაპირას, კედლის ძირში და ფეხს არ მოიცვლიდა, სანამ მთელი ყაზარმა ძილს არ მიეცემოდა.

თედო ყოველთვის გაურბოდა მას, ცდილობდა არ სჩვენებოდა. შესვლის ან გამოსვლის დროს ბიჭები წინ ავეფარებოდით ხოლმე მოხუცს და თედოს ისე შევაპარებდით ან გამოვაპარებდით.

ერთხელ, მე და თედო საგუშაგოდან ყაზარმაში ვბრუნდებოდით. ყაზარმის წინ, მოულოდნელად პირისპირ შევეჩეხეთ მოხუცს. ვინაიდან სისხამი დილა იყო, არც გვიფიქრია, თუ ის იქ იქნებოდა. მის დანახვაზე თედო შეკრთა, უკან დაიწია, მაგრამ გვიან იყო. დავიღუპეო, წამოიძახა და ერთ ადგილზე სარჩაყლაპულივით გაშეშდა.

მოხუცმა შემოგვხედა და კარგა ხანს გვიყურა, მაგრამ თედოზე თავისი შვილის მსგავსება ველარ მიიტანა.

— გადავრჩიო! — გულუბრყვილო ღიმილით წამოიძახა თედომ, როცა ყაზარმაში შევედით.

ამის შემდეგ თედო აღარ გაურბოდა მას.

ბიჭები ყველა პატივს ვცემდით მოხუცს, როგორც კი შეგვეძლო.

ეს კაცი ისე შეგვეჩვია ჩვენ, და ჩვენ მას, ერთი დღე რომ არ გამოჩენილიყო, თვალში გვაკლდა.

ასე გაიარა იმ ზაფხულმა და შემოდგომამ. ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს, მოხუცი თვალსა და ხელშუა გაგვიქრა. დაგვეკარგა შახტიკოტე, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო.

ზოგი ამბობდა: ალბათ თანასოფლელები თუ შეხვდნენ, შეეცოდათ და შინ წაიყვანესო. ზოგი ავადმყოფობას აბრალებდა: გაცივდებოდა და ამიტომ ველარ გამოდისო. ერთმა თქვა: ამას წინათ, ბაზარში ლაპარაკობდნენ, შახტიკოტეს საბარგო მანქანა დაეჯახაო. ასე იყო, თუ ისე, ამ კაცის მნახველი აღარავინ იყო და დანამდვილებით არც არავინ იცოდა რამე მის შესახებ.

ამ ამბავმა ძლიერ იმოქმედა ჩვენზე. იმედს არ ვკარგავდით, რომ შახტიკოტეს ერთხელ მაინც შევხვდებოდით სადმე. ასეც მოხდა. ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდით შახტიკოტეს, მხოლოდ ერთხელ...

იანვრის ერთ სუსხიან დღეს ბიჭები ტაქტიკური მეცადინეობის შემდეგ მინდვრიდან ყაზარმაში ვბრუნდებოდით.

ჩვენი ყურადღება უცბად ერთმა სანახაობამ მიიპყრო. მიცვალებულს მოასვენებდნენ. უნებურად სიმღერა შევწყვიტეთ და ყველა ცნობისმოყვარეობამ შეგვიპყრო. გაგვაოცა ერთმა გარემოებამ. პროცესიას შვიდიოდე კაცი შეადგენდა. ოთხს უხეიროდ შეღებილი კუბო აეწია, ორს კუბოს სახურავი მოჰქონდა, ერთს კი, რომელიც კუბოს გვერდით მოყვებოდა, ცალ ხელში ხორაგიანი კალათა ეჭირა, მეორეში — ღვინით სავსე დოქი.

კუბოში იწვა შახტიკოტე, ჩვენი გატანჯული ბერიკაცი. კეთილი ადამიანები დაპატრონებოდნენ უპატრონო მკვდარს და პატივისცემით მიასვენებდნენ სასაფლაოსაკენ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა მუხლები მომიდუნა და ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვახერხე. გავშრი, ხმა ველარ ამოვიღე. უკან მოვიხედე და ბიჭებს გადავხედე. ყველა გაფითრებული და გაოგნებული იყო. ყველას ენა ჩავარდნოდა. თედოს ხომ ფერი აღარ ედო სახეზე.

ბიჭებმა ქუდები მოვიხადეთ და მიცვალებულს მდუმარედ ჩავუარეთ გვერდით. ერთხელ კიდევ გადავხედე შახტიკოტეს. იგი მშვიდად იწვა კუბოში, ხელები გულზე დაეკრიფა, დაღლილ-დაქანცულს სამუდამო ძილით ჩასძინებოდა. ცალი თვალი მოეხუჭა, მეორე კი ადრინდელივით ღიად დარჩენოდა.





# აკაკი ბელიაშვილი

უბედურმა შემთხვევამ ქართველ მოღვაწეთა მოწინავე რიგებს ჩამოაცილა შესანიშნავი ბელეტრისტი, დაუშრეტელი ენერგიის შემოქმედი, საოცარი კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი და გულისხმიერი მეგობარი აკაკი ბელიაშვილი. თითქმის ოთხი ათეული წელია მისი შესანიშნავი ნოველები, მოთხრობები, რომანები ჩვენი მკითხველის საყვარელ ლიტერატურულ ქმნილებებად და მაგიდის წიგნებადაა ქცეული. აკაკი ბელიაშვილის სცენარებით შექმნილი ფილმები ჩვენი კინემატოგრაფიის ოქროს ფონდის ძირითად ნაწარმოებებადაა აღიარებული. დაუღალავი საზოგადო მოღვაწე და ორგანიზატორი, იგი სათავეში ედგა შემოქმედებით ორგანიზაციებს და მუდამ საქმისათვის მოფუსფუსე თავკაცი, თავდადებული შრომისთვის აღაფრთოვანებდა მის ირგვლივ მყოფთ, დიდსა თუ პატარას.

ცხოვრების ღრმა ცოდნით შეიარაღებული მწერალი მხოლოდ საინტერესო სიუჟეტების ოსტატური დამუშავებით როდი კმაყოფილდებოდა. მისი ყველა პერსონაჟი დახასიათებულია ადამიანური თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. ყველა მათგანს ხომ თავისი სახე აქვს, ყოველ მათგანს თითქოს სადღაც შეხვედრიხარ, იცნობ. ამას მწერალი აღწევდა დიდი ნიჭით, თავისი თვალის მაგიური ძალით, ცხოვრების ღრმა ცოდნითა და დაკვირვებულობით.

აკაკი ბელიაშვილი ფლობდა იუმორის დიდ ძალას, რომელსაც საოცარი ზომიერებით იყენებდა თავისი გმირების დასახასიათებლად და სიუჟეტების გასაშლელად. ადრე ჩვენ გვეგონა, რომ მისი სტიქია ნოველა და მოთხრობა იყო, მაგრამ მწერალი საოცრად ძლიერის ძალით გამოვლინდა დიდტანიან რომანებში, კერძოდ ბრწყინვალედ დაწერილ „ბესიკსა“ და „ოქროს ჩარდახში“, აგრეთვე თანამედროვე თემებზე შექმნილ „ვეფხია ხალიბაურსა“ და „შვიდკაცაში“.

აკაკი ბელიაშვილი იყო ერთი პირველთაგანი მწერლობაში, რომელმაც საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ ცენტრებს — ქიათურასა და რუსთავს დიდი რომანები მიუძღვნა. რამდენი თვე და წელიწადი სწავლობდა წარმოების სპეციფიკას, ახალ ქართველ ადამიანებს, ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასს და ტექნიკურ ინტელიგენციას. აკაკი ბელიაშვილი მასალის შესწავლისა და დამუშავების დიდებულ მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას. კინოსტუდიისთვის სავარაუდო სცენარის დასამუშავებლად იგი ქიათურაში მუშაობდა ხანგრძლივად. შემდეგ ფილმისთვის ჩაფიქრებული მასალა მან მოთხრობის ჩარჩოში მოამწყვდია და მასალის სიმრავლემ და ხასიათთა თავისებურებამ ჩანაფიქრი დიდ რომან „შვიდკაცად“ აქცევინა, მაგრამ ვაი, რომ დიდი საქმე შუაზე შეუწყდა სიცოცხლის შეწყვეტასთან ერთად...

აკაკი ბელიაშვილი დიდხანს მეთაურობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო საქმიანობას. თუ ქართულ კინემატოგრაფიაში დღეს ქართველი მწერლების ერთგვარი მომძლავრება იგრძნობა, ეს პირველად ყოვლისა აკაკი ბელიაშვილის დამსახურებაა. თვით მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ გახმაურებული ფილმები „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „ოთარაანთ ქვრივი“, და სხვები. აკაკი ბელიაშვილი მწერალთა კავშირის კინოსექციის ხელმძღვანელი იყო, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანობაშიც. მისი ბელეტრისტული ქმნილებები დიდი ხანია გასცდა საქართველოს; მისი რომანები, მოთხრობები და ნოველები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. დაუცხრომელი ენთუზიასტი და საზოგადო მოღვაწე, აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ-გაზეთების ხელმძღვანელობაში. იგი ითვლება ქართული მთასვლელობის ერთ-ერთ პიონერად.

აკაკი ბელიაშვილი სიამაყით ატარებდა ორდენებსა და მედლებს, რომლებითაც იგი მთავრობამ დააჯილდოვა.

უკანასკნელ ხანს ბევრს მოგზაურობდა, ბევრი საინტერესო შეხვედრები ჰქონდა უცხოეთში. ამ შთაბეჭდილებათაგან უნდა შემდგარიყო ის წერილები, რომლებსაც იგი ჩვენს ჟურნალს პირდებოდა უახლოეს დღეებში.

სულ ორიოდე თვის წინათ საფრანგეთიდან დაბრუნდა, სადაც ტრაგიკულად დაღუპული ძმის საფლავს მოხუცი დედის მიერ გატანებული მშობლიური მიწა დააყარა გულზე.

რა იცოდა, რომ სულ მალე ტრაგიკული შემთხვევა შეწყვეტდა მისი მგრძნობიარე, თბილი და მოყვარული გულის ფეთქვას.

# მეგობრობის ქალაქი

## ბ. შაგბერაშვილი

ყოველ ქალაქს თავისი დამახასიათებელი ნიშანი აქვს, რომელიც განსაკუთრებულ დაღს ასვამს მთელ მის სახეს. და თუ მკითხავენ, რა უფრო მეტად გეცემა თვალში ჩვენი ჭაღარა თბილისის ცხოვრებაშიო, მე, ისე როგორც ათასი სხვა, ვუპასუხებ — ღრმა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, ხალხთა ძმური ურთიერთობის ატმოსფერო. ამას აქ ყველაფერში გრძნობ — შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში, ადამიანთა მეგობრობასა და მოქმედებაში.

თბილისშიც, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სიამაყითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროგრამას, რომელმაც ერთხელ კიდევ გამოაცხადა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის უკვდავი პრინციპები.

საქართველოს დედაქალაქი დასაბამიდანვე ითვლებოდა ფართო ინტერნაციონალური კავშირის, სხვადასხვა ერების შვილთა ძმობის ერთ-ერთ ფუძედ. ხალხთა მეგობრობის მატიანეში მას არა ერთი ნათელი ფურცელი აქვს ჩაწერილი.

მრავალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით არის შედუღაბებული ჩვენი ქალაქის მრავალეროვანი ოჯახის წევრთა სოლიდარობა, და ეს ინტერნაციონალური ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდა თვითმპყრობელობასთან მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის მედგარი შერკინებით. მოახლოვებული გიგანტური რევოლუციური ბრძოლების წლებში თბილისის ისტორიაში გადაიშალა ახალი დაუვიწყარი ფურცლები. ამ პერიოდიდან ჩვენი დედაქალაქი გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშის ქვეშ შემჭიდროებული მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობის ქალაქად. ამაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით თბილისში გადმოსახლებულ რუს მარქსისტებს.

თბილისი მშრომელთა ძმობის ლენინური იდეების ჭეშმარიტი განსახიერებაა. ჩვენი დედაქალაქის 700 ათასიანი მოსახლეობიდან, 336 ათასი ქართველის გარდა ცხოვრობს 149 ათასი სომეხი, 125 ათასი რუსი, 17 ათასი ებრაელი, 11 ათასი უკრაინელი, 10 ათასი აზერბაიჯანელი, 7 ათასი ბერძენი, ბელორუსები, პოლონელები, ქურთები, ასირიელები და სხვა, — 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი.

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ჩინელები, კორეელები, ჩეხები, შორეული აფრიკისა და ლათინური ამერიკის წარმომადგენლები, რომლებსაც ჩვენმა ქალაქმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი.

თბილისი აღაფრთოვანებდა პუშკინს და ლერმონტოვს, გრიბოედოვს და ოდოევსკის, ჩაიკოვსკის და ტოლსტოის, მირზა ფატალი ახუნდოვსა და ოვანეს თუმანიანს, თბილისში აიდგა ფეხი დიდი გორკისა და შალიაპინის გენიამ. უძველესი ქართული ქალაქი მათთვის მეორე სამშობლო გახდა.

ინტერნაციონალიზმის იდეები, ხალხთა ძმური თანამშრომლობა ჩვენში გადაქცეულია მძლავრ გარდამქმნელ მატერიალურ ძალად, რომელიც ურყევად მოქმედებს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. განა შესაძლებელი იქნებოდა მოძმე რესპუბლიკების დაუხმარებლად სულ მოკლე დროში ასე შესანიშნავად შეცვლილიყო ჩვენი ქალაქის სახე, გადაქცეულიყო მსხვილ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად? თბილისის მარკის ნაწარმი ახლა იგზავნება ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე დაქრის არა ერთი თბილისური ელმავალი, რომლის შექმნაშიც თბილისელებს დაეხმარნენ ნოვოჩერკასკელი ინჟინრები და მუშები. ძმურ დახმარებას უწევენ თბილისელ ხელსაწყოთმშენებლებსა და ჩარხმშენებლებსაც მოსკოველი, ლენინგრადელი და ხარკოველი მეგობრები. თავის მხრივ არც თბილისი ჩამორჩება სხვას მეგობრული დახმარების გაწევაში. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით თბილისელ სპეციალისტებს: ბრატსკისა და ვახშის ჰიდროელექტროსადგურების, კოლიმის ოქროს საბადოებსა და იმიერპოლარეთის მშენებლობებზე, ყამირებსა და უდაბნოებში. საბჭოთა კავშირის სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად თბილისელები ეხმარებიან აზიისა და აფრიკის ხალხებსაც. მადლიერების გრძნობით იხსენიებენ ქართველ ინჟინრებს ჩინეთის ქალაქ ანშანში, სადაც ისინი ჩარხმშენებელ ქარხანას აშენებდნენ, ავღანეთში, სადაც ასეული კილომეტრი გზა გაჰყავდათ მთებში, ეგვიპტეში, სადაც ასუანის გრანდიოზული კაშხალის მშენებლობაში მონაწილეობდნენ, ვიეტნამში, სადაც აშენებენ ჩაის ფაბრიკებს.

თბილისის საწარმოებში დამზადებული მანქანები, ხელსაწყოები, ქსოვილები და მრავალი სხვა სამრეწველო პროდუქტი, ხატოვნად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ძმური შრომითი თანამშრომლობის განივთებული გამოხატულებაა.

ტყუილად როდი აღნიშნა ეს ფაქტი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, როდესაც საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა შორის მოიხსენია ელმავალმშენებელი ქარხნის ბრიგადირი ქართველი გურამ ჩადუნელი, № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი რუსი პოლინა ბოგდანოვა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ბრიგადირი სომეხი მიხეილ ბაღდასაროვი, ტრესტ „მთავართბილმშენის“ მუშა ოსი დავით თედეევი და სხვები.

მეგობრობის ეს დიადი გრძნობა იწრთობოდა რევოლუციის ქარცეცხლსა და ხუთწლედების სამჭედლოში, იწრთობოდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. მეგობრობის ეს დიდი გრძნობა კიდევ უფრო გაღვივდა და გაიფურჩქნა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

„სსრ კავშირში, — განაცხადა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე, — შეიქმნა საერთო დამახასიათებელი ნიშნების მქონე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მათ აქვთ საერთო სოციალისტური სამშობლო — სსრ კავშირი, საერთო ეკონომიური ბაზა — სოციალისტური მეურნეობა, საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნიზმის აშენება...“

კომუნიზმის მშენებელთა ამ საერთო ცხოვრებით, ამ საერთო შრომითა და ბრძოლით ჰყვავის და იფურჩქნება დღეს ჩვენი თბილისი, ძმობისა და მეგობრობის ქალაქი. ძალუმი და სისხლსავსეა მისი ბობოქარი ცხოვრების მაჯისცემა — დაუცხრომელი სწრაფვა ბედნიერ და ნათელ მომავლისაკენ.





ეროვნული ბიბლიოთეკა





# თინათინ მირზაშვილი

## თუშეთში









პ. ბლიოტკინი — კახელი კოლმეურნე

ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა მხატვართა ჯგუფი, რომელსაც საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფში შემავალი მხატვრები (ოცდახუთამდე კაცი) მოგზაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სინამდვილიდან აღებულ თემებზე ქმნიან ახალ ღირსშესანიშნავ ტილოებს.

მრავალფეროვანი და ამოუწურავია მათი თემა. ტილოებზე ოსტატურად აღიბეჭდება მშობლიური მხარის თვალწარმტაცი ზვრები და ბაღები, ჭალები და მინდვრები. ამასთან ეს არის მხატვრობაში ინდუსტრიული თემის უფრო ცხოვლად და მრავალმხრივად შემოტანის უაღრესად კეთილშობილური ცდა.

ნ. შალიკაშვილი — მინდორში



ლ. ძაძამიძე
ქვიშხეთის ბაზარი



მხატვართა ჯგუფმა მთელი თვე დაჰყო კახეთის გულში — სიღნაღში. სიღნაღიდან მხატვრები გადიოდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, უშუალოდ ხვდებოდნენ და ეცნობოდნენ სახალხო დოვლათის შემქმნელთ, ტილოებზე გადმოჰქონდათ თანამედროვე ადამიანების ამაღელვებელი სახეები.

მხატვრები ესტუმრნენ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს კუთხეს — გურიას; საფუძვლიანად შეისწავლეს მახარაძის რაიონის საკოლმეურნეო ცხოვრება და სოფლის მოწინავეთა საქმიანობა.

მათ არც ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული სიამაყე — ქალაქი რუსთავი და ქართული ფოლადის მძლავრი კერა — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაივიწყეს.

ე. ახვლედიანი
დილა მთებში



ამას წინათ კი თბილისში, მხატვართა კლუბში, მოეწყო ამ ჯგუფის პირველი გამოფენა თემაზე: „თბილისი და მისი მიდამოები“. გამოფენამ საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამთვალიერებლებზე.

თბილისშივე მოწყობილი მხატვართა ამ ჯგუფის გამოფენა მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის ორ წარმტაც კუთხეს — ვაზის სამშობლოს კახეთსა და პლანტაციებით დაფარულ გურიას.

დიდის ყურადღებითა და მოწონებით სარგებლობენ საქართველოს სახალხო მხატვრების: ელენე ახვლედიანისა და ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევრები. ცხოვრების შუაგულში ტრიალმა მეტი სინათლე და ცხოველმყოფელობა შემატა მათს ნაწარმოებებს.

ნ. ფალავანდიშვილი
ხნულზე
→



ნაყოფიერად იმუშავეს და ბევრი საინტერესო ტილო შექმნეს მხატვრებმა: ანა შალიკაშვილმა, ნელი ჩიქოვანმა, ვერა ბელეცკაიამ, ირინე გიგოლაშვილმა, ნატო ფალავანდიშვილმა, მარინე თარიშვილმა, ეთერ ანდრონიკაშვილმა, რუსუდან ჯავრიშვილმა, ნათელა ღიბრაძემ, ცისია შანშიაშვილმა, პეტრე ბლიოტკინმა, ლეო ძაძამიძემ, გივი თოიძემ და სხვებმა.

მხატვართა ამ ჯგუფის წამოწყება ყოველმხრივ ხელისშეწყობისა და წახალისების ღირსია.

ე. ანდრონიკაშვილი
სიღნაღის ქუჩა
→





# ვახტანგ ონიანი

მხატვრის სახელოსნოში. ქალის პორტრეტი (პროფილში) ექსპონირებულია საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანის განძ

ო. ხარაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დოცენტი ნ. ხოშტარია ხელმძღვანელობს, 1947 წლიდან ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ვანის რაიონში.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ადგილებში ხშირად პოულობდნენ სხვადასხვა უძველეს ნივთებს, რამდენჯერმე შემთხვევით მდიდრულ სამარხებსაც მიაკვლიეს, რომლებშიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

განსაკუთრებით ძვირფასი მასალები იქნა მოპოვებული მას შემდეგ, რაც ვანის მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებს სისტემატური ხასიათი მიეცა.

მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენდა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გახსნილი და შესწავლილი სამარხი, რომელიც არაუგვიანეს VI საუკუნეს მიეკუთვნება ძვ. წ. აღრიცხვით. სამარხში იყო მრავალი უნიკალური ნივთი, მათ შორის ოქროს მოსართავები, ვერცხლის ჭურჭლეული, კოლხიდური მონეტები და სხვ.

ექსპედიცია წელს ერთდროულად რამდენიმე უბანზე აწარმოებდა გათხრებს. ძირითადი სამუშაოები ე. წ. „ახვლედიანების გორაზე“ მიმდინარეობდა, ეს ადგილი ოდესღაც ანტიკური ქალაქის შემადგენლობაში შედიოდა და მჭიდროდ იყო დასახლებული.

ექსპედიციის მიერ მიკვლეული მდიდარი არქეოლოგიური მასალები ნათელყოფს, რომ ვანი VI საუკუნეში ძვ. წ. აღ. კოლხეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან, ეგვიპტესთან და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან. ნათელი ხდება ისიც, რომ მდინარე რიონზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთ სამყაროსთან აკავშირებდა.

დიდ ინტერესს იწვევს ექსპედიციის მიერ გახსნილი უძველესი სამარხი (VI საუკუნე ძვ. წ. აღ.), რომელიც თითქმის დაუზიანებლადაა შემონახული. სამარხში აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით მორთული ახალგაზრდა ქალის გვამი. აქვე იპოვეს ვერცხლის საოჯახო ნივთები, ბრინჯაოს სარკე, ეგვიპტიდან შემოტანილი შუშის ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის.

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული მრავალი შესანიშნავი ნივთი: საყურეები, მძივები, სამაჯურები, ყელსაკიდები, ბალთები და ჭურჭლეული იმის ნათელ წარმოდგენას იძლევა თუ რაოდენ მაღალ საფეხურზე იდგა ოქრომჭედლური ხელოვნება ანტიკურ საქართველოში.

აღმოჩენილი ქვევრები და სამეურნეო ხასიათის სხვა ნივთები ასევე ნათლად მეტყველებს, რომ ამ ადგილებში დიდად განვითარებული იყო მევენახეობა და მეღვინეობა.

არქეოლოგიური გათხრები ვანის რაიონში გრძელდება..









საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ვანის რაიონში აღმოჩენილი ნივთები.



# თბილისი

**ა. გაჩეჩილაძე**

თბილისელები ახალი წლის სამზადისში იყვნენ... ყოველ ოჯახში ახალი წლის მეკვლედ სიხარული და ბედნიერება დასადგურებულიყო...

იმ ღირსსახსოვარ დღეს მრავალი თბილისელის ოჯახს სასურველი სტუმარი ეწვია: 1956 წლის დეკემბრის მიწურულში, ახალი წლის წინადღეებში, ტელეეკრანზე გამოჩნდა დიქტორის სახე და ათასობით ტელემაყურებელს გულწრფელი სალამი და მილოცვა გადასცა.

ეს იყო ამ ხუთი წლის წინათ. რა მალე გავიდა დრო, როგორ სწრაფად გაირბინა წლებმა. და ახლა, როდესაც ფურცლავ სტუდიის ალბომს—მისი ბიოგრაფიის პატარა ფურცლებს, მეხსიერებაში გუშინდელ დღესავით ცოცხლდება სტუდიის თვითეული ნაბიჯი, თვითეული მისი გადაცემა.



1

დღეს უკვე სტუმარი კი არა, თბილისელთა მრავალი ოჯახის სასურველი „წევრი" გამხდარა დიქტორი. და მართლაც, ვის აქვს უფლება, ყოველ დღე, ყოველ საღამოს თავისუფლად გეწვიოს ბინაზე, თუ არა ოჯახის წევრს, უახლოეს ადამიანს? სწორედ ამიტომაა, რომ დიქტორი ლია მიქაძე ასე უფლებამოსილად წარმოგიდგენთ ტელევიზიით გამოსულ კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს (ფოტო № 1).

ტელევიზიას ყველაზე მეტი სიხარული მაინც ბავშვებისათვის მოაქვს. ყოველ საღამოს და კვირა დილით დიქტორი ახალი სატელევიზიო გადაცემისა თუ საბავშვო ფილმის სანახავად იწვევს მათ. სტუდიაში უკვე კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: არც ერთი დღე საბავშვო გადაცემის გარეშე!

შევცქერით ალბომში ჩაკრულ ფოტოსურათს (ფოტო № 2) და გვაგონებდა სამნაწილიანი სატელევიზიო დადგმა „ჩიპოლინოს თავგადასავალი", რომლის პირველი კადრი ამ ფოტოზეა აღბეჭდილი.



2

ყოველი სატელევიზიო გადაცემა სტუდიის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ერთობლივი შრომის ნაყოფია. ავტორის, რედაქტორის, რეჟისორის, მისი ასისტენტის, ოპერატორთა და დიქტორთა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გადაცემა ეთერში იგზავნება და ტელეეკრანზე ხვდება (ფოტო № 3).

როდესაც ჩვენს ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, სტუდია ოპერატულად ეხმაურება მას. არც ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულ სტუმრებს ივიწყებენ. ფრანგული კინოფილმების ფესტივალის დღეებში ტელევიზიამ მაყურებლებს გააცნო ფრანგი კინემატოგრაფისტების ჯგუფი, რომელიც 1959 წლის შემოდგომის პირს თბილისში ჩამოვიდა (ფოტო № 4).

უკვე დაწყებულია მოსკოვ-თბილისის სარელეო სადგურების მშენებლობა. ამით ჩვენი რესპუბლიკის მაყურებლებს საშუალება მიეცემათ ნახონ მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების გადაცემები. ყოველდღე ფართოვდება თბილისის ტელესტუდიის გადაცემათა რადიუსი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მთაგრეხილებზე არ აღმართულა გადამცემი სადგურები (ეს კი წელს და გაისად უნდა მოხდეს), თბილისის მიერ მომზადებული პროგრამები ყოველთვიურად გადაიცემა სოჭის ტელესტუდიიდან. ასე, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზღვისპირე-



3



4



---



ამას წინათ ალჟირში მეზონ-ბლანშის აეროდრომზე პარიზიდან ჩაფრინდა საჰაერო ხომალდი.

სენატორ სალახ ბენასერის შესახვედრად აეროდრომზე მივიდნენ მისი ვაჟი და პოლიციელთა ჯგუფი. საქმე იმაში იყო, რომ საფრანგეთის სენატში „საფრანგეთის ალჟირის" მომხრეთაგან არჩეული ბენასერი ნიშანში ჰყავდათ ამოღებული „ულტრას" საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის „ოასის" წევრებს, რომლებიც კარგა ხანია ნადირობდენ მასზე. ბენასერი უკანასკნელ ხანს აღარ ფარავდა თავის სიმპათიებს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტისადმი და ერთ-ერთ მიტინგზე ალჟირის სრული განთავისუფლებაც კი მოითხოვა.

ბენასერის უფროსმა ვაჟმა კარგად იცოდა „ულტრას" დამოკიდებულება თავისი მამისადმი და ამიტომ იგი ქალაქისაკენ პოლიციელთა თანხლებით წამოიყვანა. როგორც გაზეთი „ფრანს სუარი" იტყობინება, გზაზე მოხდა „საეჭვო ტაქტიკური შეცდომა": პოლიციელთა ესკორტი, ნაცვლად იმისა, რომ ახლო ყოფილიყო სენატორის მანქანასთან, რატომღაც მთელი სისწრაფით გაექანა წინ. მან თითქოსდა ვერ შენიშნა პატარა მანქანა, რომელიც ბენასერის ავტოს შემოეგება და ავტომატიდან ცეცხლი დაუშინა სენატორს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ა. წ. 12 ნოემბერს სტოკჰოლმის საღამოს გაზეთმა „აფონბლადეტმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის საუბარი „ულტრას" ხელმძღვანელობასთან დაახლოებულ, დიდად გავლენიან კაცთან". კორესპონდენტს არ გასჭირვებია ამ კაცის მოძებნა და მასთან „შეხვედრა პარიზის ერთ-ერთ რესტორანში სანაპიროზე" (როგორც ცნობილია, „ულტრას" ბევრი მეთაური და მომხრე განსაკუთრებულ დევნას როდი განიცდის საფრანგეთში). „ჩემმა თანამოსაუბრემ, რომელიც „იქსად" გამეცნო, — წერს კორესპონდენტი,—გამანდო „ოასის" უახლოესი გეგმები".

„ოასი" ამჟამად ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, თქვა „იქსმა", — იგი მთელ თავის დაქსაქსულ ძალებს აერთიანებს. საორგანიზაციო მომზადებისათვის ჩვენ ორი თვე დაგვრჩა. იანვრისათვის საფრანგეთი მომზადებული, ან უფრო სწორად, საკმარისად გამოლაყებული იქნება. რევოლუციის შემდეგ ჩვენთვის მთავარი იქნება ხელისუფლების შენარჩუნება. სწორედ ამისთვის ვემზადებით ახლა". „იქსის" სიტყვით, „საფრანგეთში მილიონი კაცია მზად დაემორჩილოს „ოასის" ბრძანებებს. ორი თვის შემდეგ მთელი საფრანგეთი დაემორჩილება ჩვენს ნება-სურვილს". „იქსმა" ბოლოს კმაყოფილებით თქვა, „ოასის" მსგავსი ორგანიზაცია სწრაფად იზრდება დასავლეთ გერმანიაში და ამერიკელები გამალებით სწავლობენ ჩვენს მეთოდებსო.

სამი წლის წინათ „ულტრას" ლიდერებმა ალჟირში განლაგებული საფრანგეთის არმიის ნაწილების დახმარებით სცადეს მოეხდინათ გადატრიალება. ულტრელთა დაჟინებული მოთხოვნით, ალჟირი საფრანგეთის განუყრელ ნაწილად უნდა გამოცხადებულიყო და მთელს საფრანგეთს თავს მოხვეოდა „ახალი საფრანგეთის" მესვეურთა — გენერლების: სალანის, მასიუსა და სხვათა მიერ შემუშავებული კონსტიტუცია.

შეთქმულნი არაფერს ზოგავდნენ მიზნის მისაღწევად. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ამ ვაჟბატონებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საფრანგეთის საზოგადოებრიობის გავლენით პუტჩისტ გენერალ სალანს და მის მომხრეებს დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ საფრანგეთის ხელისუფალთა უმოქმედობით გათამამებული ულტრელები იარაღს როდი ყრიან. სალანმა თავი ჯერ ფაშისტურ ესპანეთს შეაფარა, ამას წინათ კი შვეიცარიელმა ჟურნალისტებმა იგი ქალაქ ალჟირის მიდამოებში მოინახულეს და მასთან საუბარი მთელს ქვეყანას მოჰფინეს.

დე-გოლი ხელს აფარებს ზოგიერთ „ულტრელს" და ბევრ მათგანს დიდ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე აწინაურებს კიდეც. სწორედ იმ დღეს, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა პოლიციის რამდენიმე მეთაურის სამსახურიდან დათხოვნა „ულტრელებთან მათი კავშირის გამო", ხანგრძლივი შვებულებიდან გამოიძახეს და საფრანგეთის მეექვსე სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნეს ალჟირში 1958 წლის პუტჩის ერთ-ერთი მეთაური გენერალი მასიუ.

საინტერესოა დავსძინოთ, რომ 23 ნოემბერს სტრასბურგში, ამ ქალაქის ჰიტლერელთაგან განთავისუფლების 17 წლისთავთან დაკავშირებული მიტინგის დროს ტრიბუნაზე დე-გოლის გვერდზე იდგა ეს ნეოფაშისტი გენერალი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი ალჟირელი პარაშუტისტი.

პოლიციისა და მთელი ხელისუფლების ლიბერალიზმმა იმდენად გაათამამეს „ულტრელები", რომ საქმე დე-გოლზე თავდასხმამდეც კი მივიდა. პრესის აზრით ეს მკვლელობა იქნებოდა ახალი აჯანყების სიგნალი ალჟირსა და მთელს საფრანგეთში.

დეკემბრის დასაწყისში სახელმოხვეჭილმა კინოვარსკვლავმა ბრიჯიდ ბარდომ წერილი მიიღო „ოასისგან" — 50 ათასი ფრანკი გამოგვიგზავნე, თუ არა საქმე ცუდად წაგივაო. მსახიობი არ შეუშინდა მუქარას და „ულტრას" წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღძრა: მე არ დავუთმობ შანტაჟს, რადგან არ მინდა ნაცისტურ ქვეყანაში ცხოვრებაო, — სწერს ბრიჯიდ ბარდო „ექსპრესში".

„ოასის" ტერორისტული ჯგუფები სხვადასხვა სახელებითაა ცნობილი საფრანგეთსა და ალჟირში. აი ერთი მათგანი — „წითელი ხელი". ეს ორგანიზაცია დივერსიისა და მკვლელობის არავითარ მეთოდს არ ერიდება: მისთვის სულერთია ააფეთქებს ქარხანას, მატარებელს, გემს, თუ მოჰკლავს სულ უბრალო ადამიანს, რომლის დანაშაული მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თანაუგრძნობს ალჟირელ პატრიოტებს.

ჰამბურგი... ოჯახის წევრებთან ერთად თავის მანქანასთან მივიდა მისი პატრონი ოტო შლიუტერი. საკმარისი იყო მოტორის ჩართვა, რომ აფეთქებული მერსედესის ნაწილები ჰაერში ავარდა. შლიუტერი შემთხვევით გადარჩა. მას ამჯერადაც საოცარის განგებით მეორედ ასცდა თითქმის აუცილებელი სიკვდილი. პირველად იგი თავის ფირმაში, საკუთარ კაბინეტში აფეთქებულ ბომბს გადაურჩა.

მანქანის მოტორის ჩართვა საბედისწერო აღმოჩნდა ფრანკფურტელი პუხერტისათვის—პუხერტი ადგილზევე გარდაიცვალა, მანქანა კი ნაფოტებად იქცა.

აფეთქებები ხმაურს იწვევს. ამიტომ „ულტრელი" ტერორისტები უხმაურო სასროლ იარაღსაც მიმართავენ, სწორედ ისეთს როგორითაც მოჰკლეს პარიზელი ადვოკატი ულდ აუდია, მარსელ ლეოპოლდი და სხვები.

ტანჟერთან აფეთქდა კოსტა-რიკის გემი „ბრუხაროხა". ამას მოჰყვა ნორვეგიული გემის „ემას" დაღუპვა იმავე რაიონში; ჰამბურგში აფეთქდა გემი „ატლასი", ოსტენდესთან — ეგვიპტელთა ხომალდი „ალკჰირა". ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. არ არის დღე, რომ ტელეგრაფმა არ მოიტანოს ტერორისტული ორგანიზაციების ახალ-ახალ მსხვერპლთა სახელები. ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ადამიანები და გემები სხვადასხვაგვარად უწყობდნენ ხელს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და „ოასის" ფართო ქსელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცდილობს მოსპოს ყველაფერი, რაც წინ ეღობება ფრანგი კოლონიალისტების ბინძურ საქმეს.

მაგრამ რა შეაჩერებს თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. ალჟირელი პატრიოტები უკვე რამდენიმე წელიწადია იარაღით ხელში იბრძვიან დამპყრობთა წინააღმდეგ. მათ სათავეში უდგას სახალხო დროებითი მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს.

აღნიშნავენ რა აფრიკის დღეს, მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სჯერათ, რომ ალჟირი გაიმარჯვებს, რომ ვერავითარი ძალა, ვერავითარი ტერორი და მუხანათობა ვერ გადაახვევინებს ალჟირელ ხალხს არჩეულ გზიდან.

**ა. ვარმარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეგენდა მესამე მტრედზე



დროთა დასაწყისის წიგნში მოთხრობილია პირველსა და მეორე მტრედზე, ჩვენთა წინაპართ-წინაპარმა ნოემ რომ გამოუშვა კიდობნიდან მაშინ, როდესაც დაიხშვნენ წყარონი უფსკრულისანი, დაიხურნენ ნაპრალნი ცისანი და შეწყდა წვიმა ზეცით. მაგრამ ვინ გვაუწყა მოგზაურობა და ბედი მესამე მტრედისა?... არარატის მთის მწვერვალს მიადგა მხსნელი კიდობანი, რომლის წიაღში შეაფარა თავი ყოველივემ, რაც კი ცოცხალი იყო, და ამით გადაურჩა წარღვნას. და როდესაც წინაპართ-წინაპარმა დაინახა თვის გარშემო მარტოდენ ტალღები და ზვირთები, მაშინ გამოუშვა მან პირველი მტრედი, რათა გაეგო, ხომ არ გამოჩენილა სადმე ხმელეთი ღრუბლებიდან დაწმენდილ ზეცის ქვეშ.

და, როგორც ნათქვამია წიგნში, პირველმა მტრედმა ფრთა ფრთას ჰკრა და აინავარდა. ის გაფრინდა აღმოსავლეთისკენ, გაფრინდა დასავლეთისკენ, მაგრამ ყველგან წყალი იყო. ვერსად ვერ მოიპოვა მტრედმა დასასვენებელი ადგილი თვისთა ფერხთათვის და თანდათან ფრთებიც დაუსუსტდა. მაშინ მტრედი დაუბრუნდა ერთადერთ ბურჯს დედამიწაზე — კიდობანს და დაფრინავდა მთის მწვერვალზე დასვენებულ ნავჭურჭლის ირგვლივ მანამდე, ვიდრე ნოემ არ გაუწოდა ხელი თვისი და არ მიიღო თავის კიდობანში.

ნოემ შეიცადა შვიდი დღე, და ეს შვიდი დღე წვიმა აღარ დაპკურებია დედამიწას და წყალიც თანდათან დაწდა; მაშინ მან აიყვანა მეორე მტრედი და გაუშვა იგი. დილით გაფრინდა მტრედი და, როცა საღამო-ჟამს დაბრუნდა, ნისკარტში ეპყრო ზეთისხილის ფოთოლი. ეს იყო იმის პირველი ნიშანი, რომ მიწა განთავისუფლდა; ნოემ ამით გაიგო, რომ ხეების კენწეროები უკვე გამოჩნდა და განსაცდელმა განვლო.

მან შეიცადა კიდევ შვიდი დღე და გაუშვა მესამე მტრედი და მტრედი გაფრინდა ქვეყნიერებისაკენ. ის დილით გაფრინდა და საღამოთი აღარ დაბრუნებულა. დღიდან დღეზე მოელოდა მას ნოე, მაგრამ მტრედი არ უბრუნდებოდა. და წინაპართ-წინაპარმა ამით გაიგო, რომ წყალი დავიდა პირისაგან მიწისა. ხოლო მტრედზე, მესამე მტრედზე მას შემდეგ არაფერი გაუგია, და არც კაცთა მოდგმას გაუგია რა, არასდროს არავის უამბნია მასზე ჩვენს დრომდე.

აი, როგორია ამბავი მესამე მტრედის მოგზაურობისა და მისი ბედისა. დილით გამოფრინდა იგი დახშული კიდობნიდან, სადაც სიბნელეში დრტვინავდნენ ქმნილებანი და ისმოდა ფლოქვების ბაკუნი, კლანჭების ღრჭიალი, ბღავილი და სტვენა, სისინი და ყეფა; ვიწრო კიდობნიდან გაფრინდა მტრედი თვალუწვდენელ სივრცეში, წყვდიადიდან — სინათლეში. და, მოიქნია თუ არა მტრედმა ფრთები ნათელ, წვიმისაგან სურნელოვან ჰაერში, მყისვე აღივსო თავისუფლებისა და უსასრულობის სიამით. ძირს წყლები ბრწყინავდა, ტენიან ხავსის მსგავსად ამწვანებულიყო ტყეები, ჭალებს დილის ორთქლი აუდიოდა და ტკბილად იფრქვეოდა აღმოცენებული ბალახების წვენთა სურნელება. ბრწყინავდა გაკრიალებული ზეცა, ამომავალი მზე დაფიონის ასეულ ნაპერწკლებს აელვარებდა მთების მწვერვალებზე, სისხლისფრად შეეღება მზეს ზღვა, წითელი, ცხელი სისხლის მსგავს ნისლში გაეხვია აყვავებული დედამიწა. ნეტარი თვალით სჭვრეტდა მტრედი ქვეყნიერების გაღვიძებას, ფრთებგაშლილი ლივლივებდა იგი, ზღვებისა და ხმელეთის ზევით დაფრინავდა ნათელ სიზმარში და თვითონაც ზმანებად იქცეოდა. მეუფე ღმერთის მსგავსად, მან პირველმა მიმოავლო თვალი განთავისუფლებულ დედამიწას და მისი ცქერით ვერ დამტკბარიყო. დიდი ხანია დაავიწყდა მტრედს, თუ რისთვის გამოუშვა იგი თეთრწვერა პატრიარქმა კიდობნიდან, დიდი ხანია დაავიწყდა, რომ უნდა დაბრუნებულიყო. რადგან სამყარო გახდა მისი სამშობლო, ხოლო ზეცა — მშობლიური სახლი.

ასე უვლიდა ირაოს უკაცურ ქვეყნიერებას მტრედი, წინაპართ-წინაპრის ეს არასაიმედო მაცნე, სულ წინ და წინ მიაქროლებდა მას ბედნიერების კორიანტელი, ნეტარი მოუთმენლობის ნიავქარი, სულ წინ და წინ, მანამდე, ვიდრე ტყვიისებრ არ დაუმძიმდა ფრთები. დედამიწა მძლავრად იზიდავდა მას თავისკენ, სულ ძირსა და ძირს ეშვებოდა მტრედი, მისი დაღლილი ფრთები უკვე ეხებოდა სველი ხეების კენწეროებს და ბოლოს, მეორე დღის მიწურულს, დაეშვა იგი დაბურულ ტყეში. ამ ტყეს ჯერ სახელი არ ჰქონდა, როგორც სხვა არაფერსაც ჟამთა დასაწყისში. მტრედი ჩაიმალა ხშირ ტოტებში, რათა დაესვენა... ტოტები ფარავდნენ მას, ნიავი ნანას ეუბნებოდა. გრილოდა დღისით ფოთლოვანში, ხოლო ღამით სითბო იდგა ტყის სავანეში. მტრედს დაავიწყდა ზეცა, სადაც ქარი ჰქროდა და შორეთი უხმობდა, მწვანე კამარამ დაფარა იგი და ურიცხვი წლები გროვდებოდა მასზე.

ის ტყე, რომელიც მტრედმა თავშესაფარად აირჩია, ჩვენდამი ახლობელი ქვეყნის ტყე იყო, მაგრამ ადამიანები ჯერ შიგ არ ცხოვრობდნენ და ამ განმარტოებაში თვით მტრედიც სიზმრად იქცა. ის შეიყუჟა მწვანე წყვდიადში და დრო მის გარეთ მიედინებოდა, სიკვდილმა დაივიწყა მტრედი, რადგან ყველა ის ქმნილებანი, თვითეული ყოველი გვარისაგან, რომელთაც იხილეს სამყარო მის დასაბამში, წარღვნამდე, არ შეიძლება მოკვდნენ და მონადირესაც არ ძალუძს მოკლან ისინი. უხილავად ჩაბუდებულან ეს ქმნილებანი იმ სამოსის ნაკრძალ უბეებში, რომლითაც მორთულია დედამიწა, — ასე დაემართა ამ მტრედსაც, ის დაიმალა ტყის ტევრში. მართალია, დროგამოშვებით მტრედი გრძნობდა ადამიანთა სიახლოვეს: ხან სროლის ხმა იჭექებდა და ასკეცად გახმიანდებოდა მწვანე კამარაში, ხან შეშის მჭრელი ხეს ჩეხავდა და გუგუნი იდგა ტევრში, ხან ტკბილად აჟღერდებოდა შეყვარებულთა წყნარი სიცილი, როდესაც გადახვეულნი დასეირნობდნენ მყუდრო ბილიკებზე, ხან შორიდან გაისმოდა კენკრის დასაკრეფად მოსული ბავშვების შეძახილები და სიმღერა... ფოთლებში ჩამალულ მძინარე, დავიწყებულ მტრედის სმენამდე აღწევდა ხანდახან ადამიანთა ცხოვრების ჟრიამული, მაგრამ იგი უშიშრად ისმენდა მას და არ ტოვებდა თავის მყუდრო სავანეს.

სჰეფან ცვაიგი

თის მოსახლეობას საშუალება აქვთ თვეში ერთი საღამოს განმავლობაში ნახონ თბილისის ტელესტუდიის პროგრამა.

ვფურცლავთ ალბომს... ერთი გვერდი (ფოტო № 5) თბილისის ტელევიზიის გასვლით გადაცემებზე მოგვითხრობს. მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიით რამდენჯერმე მოეწყო ჩვენი სტუდიის მიერ მომზადებული პროგრამების გადაცემა



5

ახლახანს, რსფსრ დამსახურებული არტისტის მ. ნაზაროვას თბილისში გასტროლების დაწყებასთან დაკავშირებით, სტუდიაში მოიწვიეს მ. ნაზაროვა, რეჟისორი-მომთვინიერებელი კ. კონსტანტინოვსკი და... ვეფხვი „პურში“ (ფოტო № 6).

სტუდიის პავილიონის სიმცირის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა ორიგინალური სატელევიზიო დადგმების განხორციელებაც. ერთ-ერთი პირველი დადგმის — პუშკინის „მოცარტი და სალიერის“ კადრი აღბეჭდილია ჩვენს ფოტოსურათზე (ფოტო № 7). პირველ სატელევიზიო დადგმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და... შესაძლებელი გახდა პირველი საბჭოთა სატელევიზიო ოპერის „გამზრდელის“ განხორციელება (ფოტო № 9).



6



7

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა დღე, როდესაც მთელი ტყე აგუგუნდა და ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქოს დედამიწა ორად გაიპოო. ჰაერში ზუზუნით დაჰქროდა რკინის შავი ნამსხვრევები, და სადაც დაეცემოდა, იქ მიწა შიშით ყალყზე დგებოდა და ხეები ტყდებოდა ბალახის ღეროებივით. სხვადასხვაფერ ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანები ესროდნენ ერთმანეთს სიკვდილს, ხოლო ურჩხულის მსგავს მანქანებიდან აიტყორცნებოდა ხანძრის ალი. ელვა მიიკლაკნებოდა მიწიდან ზეცისკენ და ქუხილი მას ხმას აძლევდა; თითქოს დედამიწა ლამობდა ზეცაში ავარდნას, ანდა ზეცა — დედამიწაში ჩამხობას. მტრედმა გაიღვიძა... მის ირგვლივ სიკვდილი და რღვევა სუფევდა. როგორც ოდესღაც ბობოქრობდა წარღვნის წყლები, ტალღები, ისე მძვინვარებდა ახლა ცეცხლი მთელს ქვეყნიერებაზე. მტრედმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ეკვეთა ზეცას, რათა განადგურებულ ტყის მაგიერ, მოეძებნა სხვა, მყუდრო სავანე, სავანე მშვიდობისა.

ის ეკვეთა ზეცას და დაფრინავდა მშვიდობის ძიებაში, მაგრამ სადაც კი მიფრინდა, ყველგან კრთოდა ადამიანთაგან გამოწვეული ელვა, ყველგან გრუხუნებდა გრგვინვა, ყველგან იყო ომი... ცეცხლისა და სისხლის ზღვამ, როგორც ოდესღაც, წალეკა დედამიწა. ისევ დაიწყო მსოფლიო წარღვნა და მტრედი დაუღალავად მიმოჰქროდა, რათა მოეძებნა მშვიდი კუთხე, ხოლო შემდეგ მიფრენილიყო კაცთა გვარის მამამთავართან და მიეტანა მისთვის იმედის მაუწყებელი ზეთისხილის რტო. მაგრამ იმ დროს ვერსად იპოვა მან ზეთისხილის რტო, სულ უფრო და უფრო ედებოდა დედამიწას ხანძრის ალი. ჯერაც ვერ მოუპოვებია კაცობრიობას მშვიდობა, ჯერაც ვერ მოუპოვებია მტრედს მშვიდი კუთხე, შინ ვერ დაბრუნებულა, სამუდამოდ ვერ დაწყნარებულა.

არავის უნახავს იდუმალი, გზადაკარგული მტრედი, რომელიც დღესაც მშვიდობას ეძიებს, თავს დაგვფრინავს დაღლილი და შეშინებული ხანდახან, ისიც მხოლოდ ღამეობით ანაზდად გაღვიძებულებს, მოგვესმის სადღაც ზევიდან მისი ფრთების შრიალი... აჩქარებული, შემკრთალი და სასოწარკვეთილი, — ის მაინც ეძიებს მშვიდობას. მისი ფრთები ჩვენი დუხჭირი ფიქრებითაა დამძიმებული, ჩვენი იმედები ციმციმებენ მის ნაზ ფარფატში, რადგან იმ გზადაკარგულ მტრედს, ათრთოლებული რომ დაფრინავს ცისა და მიწას შორის, უძველეს დროთა ამ არასაიმედო მაცნეს, ამჟამად მიაქვს კაცთა გვარის მამამთავრისადმი ამბავი ჩვენი საკუთარი ბედის შესახებ. და ისევ. როგორც ათასეული წლების წინ, მთელი მსოფლიო მოელის, რომ ვინმე მტრედს ხელს გაუწოდებს და აღიარებს — დროა განსაცდელს ბოლო მოეღოს.

გერმანულიდან თარგმნა
**ფატი გოკიელმა**

# ახალი თარგმანები

## ბალადა

## ყველა კეთილი ნების ადამიანს

**სტეფან ჰერმლინი**

ქალაქი იქცა ნანგრევთა გროვად,
მკვდრებით გაივსო ტბები, ველები,
მიწა მოიცვა დარდმა და გლოვამ,
ბორცვებზე დგანან სახრჩობელები;
ქანდაკებების ქვითინი ისმის,
ტბასთან ჩანს სახლთა ჩრდილები
შავი
და უცოდველთა ღაღადებს
სისხლი:
— ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ
თავი!

ჩვენ მრავალნი ვართ, ის კი
ერთია...
ჩემს შვილს სიცოცხლე არ
დააცალა,
გაგვიტიალა ჯოგი ერთიან,
ჩვენი ბოსლები სულ მთლად
გაცალა.
უკანასკნელი ფარდული იწვის,
თვით კი ქეიფს სწევს, ბილწი და
ავი,
და მკვდართა ძვლები ინთება
რისხვით:
ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ
თავი!

იგი ერთია, ჩვენ კი ურიცხვი...
ჩამომისახლდა უბედურება,
გამქვავებია დარდით გულიც კი
და არაფერი არ მეყურება.
სარკეში ვუმზერ ჩემს ტანჯულ
სახეს
ბაგეს აკვდება ღიმილი მწვავე.
— ეშაფოტისკენ!— წამოვიძახებ,—
ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ
თავი!

დიდხანს ცხოვრობდა ჩვენ შორის
მყრალი
სიბილწით სავსე, სიავე სრული,
მან დააბრმავა მრავალი თვალი,
შხამით მოწამლა მრავალი სული.
ახლაც მოცოცავს იგი შენს კართან,
ფულებით ჯიბე რომ გაუვსია,
იარაღს ხელი დასტაცე მარდად,
ვერვოლფს შიგ გულში დაჰკარი
ტყვია!

მინდვრად წევს ყანა აუღებელი,
ჩამონგრეული სახლები დგანან...
და რომ არ აღდგე შურისმგებელი,
როგორც გრიგალი, მოითმენ განა?
ტკბილ სიძულვილის ტრფობაო
მწარევ,
ჩვენ აღარ გვზარავს სიკვდილი
სულაც,
ლაჩრის გოდებას ნუ შეიწყნარებ,
გადაუხადე სიავე სრულად.

ვერვოლფს სიკვდილი უმძიმს
ძალიან,
მაგრამ თავიდან, სჯობს,
მოვიცილოთ.
პირდაპირ ომში იგი მხდალია,
ბნელი კუთხიდან თავდასხმას
ცდილობს.
მაშ ყველაფერი შეიგნე მკვეთრად,
მკითხავებისა ნუ გჯერა სულაც:
უბედურებამ თმა გამითეთრა,
ეს ყოველივე ალნუსხე სრულად.

ხელი დასტაცე ცულსა და ფიწალს,
მსწრაფლ ჩამოხსენი კედლიდან
თოფი,
მტერი აქვეა, შეხედე, იცან,
გარს გვივლის ჩუმად, ალვსილი
ცოფით.
თვით მიუნცერი აღმდგარა
რისხვით
და სამშობლოსთვის მებრძოლებს
იწვევს,
შენც მტერს დაჰკარი, ადინე
სისხლი,
რომ ხალხმა აღარ იტიროს ისევ.

ურცხვმა ვერვოლფმა კოცონზე
დასწვა
უძვირფასესი წიგნები ჩვენი,
შენს დას ნამუსი ახადა, გახრწნა,
დაახრჩო, მოსპო შვილები შენი.
მას, ვინც სიცოცხლე მოუსპო
ტელმანს,
ელის წამება და სახრჩობელა, —
დაე სანაცვლო მიიზღოს მტერმა,
აღარ იტიროს ხალხმა მშობელმა.

მგელი დაახრჩე, გაანადგურე
ბუდე ფაშისტთა შეთქმულებისა,
ჯერ კიდევ ესმის კარგად ჩემს
ყურებს
შორი გრიალი ქვემეხებისა.
ქვრივ-ობლებს ვიხსნით, ავაგებთ
სახლსაც,
შრომაა ახლა თავი და თავი,
და თუ ტანჯვისგან გსურს თავას
დახსნა,
ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთე თავი!

თარგმანი გერმანულიდან
**ვახტანგ ბეჭუკელისა**

პირველი ერთნაწილიანი კინონოველის „დედის ხელის“ შემდეგ სტუდიამ გამოუშვა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „შემთხვევა გზაზე“, „ექიმს ფეხბურთზე მიეჩქარება“, „გია მიდის ყამირზე“, „როგორ გავხდი თბილისელი“ (ფოტო № 8) და სხვები. წარმატებით მოიარა ჩვენი ქვეყნის ტელესტუდიების ეკრანები საბავშვო კინოკონცერტმა „მხიარული ალბომი“ (ფოტო № 10), რომელშიც ნორჩ შემსრულებელთა გამოსვლებს შორის ორგანულად იყო ჩაქსოვილი მოძრავი ნახატი კადრები... მრავალი გადაცემა ეძღვნება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის საინტერესო ამბებს.





... თბილისელები ახალი წლის სამზადისში არიან... ყოველ ოჯახში სიხარული, ბედნიერება დასადგურებულა. ღირსსახსოვარ დღეს ჩვენი ტელევიზიის დიქტორი კვლავ პეწვევათ და ბედნიერი ახალი წლის დადგომას მოგილოცავთ, ახალ გამარჯვებას გისურვებთ.

**ფოტო გ. თიკანაძისა**





# წამალი

ვ. ასათიანი,
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი.



თითქოს ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს, რას წარმოადგენს წამალი. ბევრ ჩვენგანს მიუღია იგი ექიმის დანიშვნითა და, საკუთარი ინიციატივით, რათა უმკურნალა, ან თავიდან აეცილებინა ესა თუ ის ავადმყოფობა. ვიცით ისიც, რომ ერთი სამკურნალო საშუალება მოქმედებს, ვთქვათ, როგორც სიცხის გამნელებელი, მეორე აუმჯობესებს გულის მუშაობას, მესამე აწყნარებს „აშლილ“ ნერვებს და ა. შ.

მაგრამ წამლის მოქმედების ნამდვილი მექანიზმი დიდხანს უცნობი რჩებოდა. იგი მხოლოდ მის შემდეგ გახდა გასაგები, როცა გასული საუკუნის შუა პერიოდში აღმოცენდა მეცნიერული, ექსპერიმენტული მედიცინა, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია სამკურნალო საშუალებათა მეცნიერების განვითარებაზე.

XVIII საუკუნეში კაცობრიობამ მხოლოდ ხუთი სასარგებლო წამალი შექმნა, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვითეული წამლის აღმოჩენას ორი ათეული წელი დასჭირდა.

XIX საუკუნის უკანასკნელ ათეულ წელს კი შესაძლებელი გახდა ოცი ახალი ეფექტური სამკურნალო საშუალების დამზადება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს დროში ეს ტემპები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია ორგანიზმზე წამლის მოქმედების შემსწავლელმა მეცნიერებამ — ფარმაკოლოგიამ. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბუნებისმეტყველების განვითარების უახლესი ეტაპისათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა: მიკროსამყაროს კანონზომიერებათა ღრმა შესწავლისადმი მისწრაფებამ, ორგანიზმის უჯრედში სხვადასხვა ნივთიერებათა მოლეკულებს შორის მოქმედი ქიმიური პროცესებისა და იმ ცვლილებათა შეცნობამ, რომლებსაც უჯრედში შეჭრილი სამკურნალო ნივთიერებათა მოლეკულები იწვევენ...

წამლები ჩვენ გვესაჭიროება იმისათვის, რათა განვკურნოთ დაავადებული ორგანიზმი. რას წარმოადგენს ავადმყოფობა?

თითქმის ყველა ავადმყოფობა ადამიანის ორგანიზმში არღვევს ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას, ამსხვრევს ქიმიურ გარდაქმნების კოორდინირებულობას. ასეთი ურთიერთშეთანხმებულობის უზრუნველსაყოფად უდიდეს როლს ასრულებენ ფერმენტები.

ფერმენტები ბიოლოგიური კატალიზატორებია, რომლებსაც უნარი შესწევთ დააჩქარონ (ან შეანელონ) ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა ქიმიური რეაქციების პროცესები. ჩვენი ორგანიზმის თვითეული უჯრედის „შეიარაღებაში“ შედის სხვადასხვაგვარი ფერმენტების მთელი არსენალი, რომელიც ნივთიერებათა ცვლის ქიმიურ პროცესებს ანხორციელებს. თითქმის არც ერთი დაავადება არ წარიმართება ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევის გარეშე, მაშასადამე, ფერმენტთა მოქმედების დარღვევის გარეშეც.

ცხადი ხდება, რომ სამკურნალო საშუალებათა მოქმედება უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი ფერმენტებზე, როგორ ერევიან ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ პროცესებში. რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი სამკურნალო ნივთიერებებიც, რომელთა მოქმედება ვლინდება არა ქიმიური, არამედ სხვა გზებით. მაგალითად, ზოგიერთი წამალი მოქმედებს ორგანიზმის უჯრედების ფიზიკურ თვისებებზე.

არსებობს წამალთა მოქმედების სხვა საშუალებებიც. ჩვენ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ქიმიურ მექანიზმებს დავუთმობთ, ე. ი. იმ შემთხვევებს, როდესაც სამკურნალო ნივთიერებები ქიმიურ რეაქციაში შედიან ორგანიზმის ქსოვილების ან სითხეების შემადგენელ ნაწილებთან. ამგვარად, შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს წამალი, შეგვიძლია ვუპასუხოთ: წამალი არის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ორგანიზმზე ზემოქმედებისათვის დაავადების განსაკურნავად, ან მისი თავიდან ასაცილებლად.

როგორ ხორციელდება ეს ზემოქმედება?

ყოველი ექიმი, წამლის დანიშვნისას, ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რომელიც მისმა გამოყენებამ უნდა გამოიწვიოს ორგანიზმში. ეს ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს წამლის შეყვანის ადგილზე, ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება მხოლოდ „ადგილობრივი ეფექტით“ განისაზღვრება. ხშირ შემთხვევაში წამალი შეიწოვება სისხლში, რომელსაც იგი სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში გადააქვს.

წამლის საშუალებით ექიმი ხშირად უნაზღაურებს ორგანიზმს იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთა დაკარგვა და ნაკლულობა ჯანმრთელობის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია. ამას გარდა, მისი სამკურნალო ეფექტი იმაშიც მჟღავნდება, რომ იგი უვნებელს ხდის იმ მიკრობებს, რომლებიც ჯანმრთელობის მოშლის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინებიან. ასეთი ხასიათის წამლებს შეიძლება მივაკუთვნოთ ყველასათვის ცნობილი სულფანილამიდური (სულფამიდური) პრეპარატები: ნორსულფაზოლი, ფტალაზოლი, სულფადიმეზინი და მრავალი სხვა. ეს წამლები უარყოფითად მოქმედებენ მიკრობებზე და მათ უშუალო დაღუპვას არ იწვევენ. მათ აქვთ მიკრობთა გამრავლების შეჩერების ძვირფასი თვისება.

როგორ ხდება ეს? ერთუჯრედიან მიკრობში მეტად რთული ქიმიური პროცესები მიმდინარეობს. ისინი თვითონ აგებენ ურთულეს ნივთიერებებს (ცილებს და ნუკლეოპროტეიდებს), რომლებიც აუცილებელია მათი ზრდისა და გამრავლებისათვის. ერთუჯრედიანი მიკრობები დამოუკიდებლად აწარმოებენ საშენ მასალას, თავისებურ ქიმიურ „აგურებს“, — მარტივი აგებულების ორგანულ ნივთიერებებს. ასეთი „აგურების“ დამზადება ხდება მიკრობში ე. წ. პარაამინობენზოის მჟავას აუცილებელი მონაწილეობით. ამ მჟავის გარეშე მიკრობების გამრავლება შეუძლებელია. მაგრამ რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ შევეცდებით მიკრობის „მოტყუებას“? თუ მას პარაამინობენზოის მჟავას ნაცვლად ისეთ მსგავს ნივთიერებას შევაპარებთ, რომელიც მიკრობის სხეულის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს? ასეთ ნივთიერებად სულფანილამიდი აღმოჩნდა. ამ ნივთიერებასა და პარაამინობენზოის მჟავას შორის ისეთი პატარა განსხვავებაა, რომ მიკრობი „ვერ ამჩნევს“ მას, რის შედეგადაც სულფანილამიდი მიკრობის უჯრედში ნივთიერებათა ცვლიდან გამოდევნის პარაამინობენზოის მჟავას, რომლის ფუნქციებს თვითონ ვერ ასრულებს, ეს კი იწვევს მიკრობთა ზრდისა და გამრავლების მოშლას.

სამკურნალო საშუალებას ხშირ შემთხვევაში იერიში მიაქვს მიკრობის „ქიმიური მრეწველობის“ სასიცოცხლო ცენტრებზე და ისინი წყობიდან გამოჰყავს. ასეთ „ცენტრებად“ მიკრობის ნივთიერებათა ცვლაში ფერმენტული ცილები გვევლინება. ზოგიერთი წამალი (მაგალითად, დარიშხანის პრეპარატები), ბოჭავს რა ფერმენტების აქტიურ ჯგუფებს, წამლავს და ადამბლავებს მათ მოქმედებას.

სამკურნალო საშუალების სამკურნალო ეფექტი იმაშიც შეიძლება გამოიხატოს, რომ იგი ცვლის ორგანიზმის ქსოვილებში ქიმიურ პროცესებს და აწესრიგებს მათ.

უხსოვარ დროიდან წამლებს სხვადასხვა მცენარეებიდან ამზადებდნენ. ეს მცენარეები ახლაც დიდ გამოყენებაშია. მაგალითად სათითურა და ზოგი სხვა მცენარე შეიცავს ე. წ. გულის გლუკოზიდებს. ეს არის ნივთიერებები, რომლებსაც უნარი შესწევთ იმოქმედონ უშუალოდ გულში არსებულ ქიმიურ პროცესებზე. გულით ავადმყოფთა კუნთში დარღვეულია ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების ცვლის პროცესები, ცუდად წარმოებს ზოგიერთი ფოსფორშემცველი ორგანული ნივთიერებების „შეკეთება“, რომელიც გულის კუნთის შეკუმშვისათვის საჭირო ენერგიის მთავარ მომწოდებლად გვევლინება. გულის გლუკოზიდები კი გულის ქიმიურ მეურნეობაში წესრიგს ამყარებენ.

ყოველი გლუკოზიდის მოლეკულა შედგება შაქრისა და უშაქრო ნაწილისაგან. შაქრიანი ნაწილი გულის კუნთს ერთგვარ სატყუარად ემსახურება, რომელიც შთანთქავს გლუკოზიდის როგორც შაქრიან, ისე უშაქრო ნაწილს. ამით აიხსნება გლუკოზიდის არჩევითი მოქმედება გულზე. გლუკოზიდის გავლენის ქვეშ ავადმყოფი გული კვლავ აღადგენს რთული ნახშირწყლის — გლიკოგენის „დახარჯულ“ მარაგს და აჩქარებს ფოსფორშემცველი ორგანული ნივთიერებების ცვლას. ეს ნივთიერებები აწარმოებენ ენერგიის დაგროვებას, რომელიც წარმოიქმნება გლიკოგენის დაშლისას და აუცილებელია გულის კუნთის შეკუმშვისათვის. ამგვარად, გულის გლუკოზიდები ახდენენ გულის ენერგეტული მეურნეობის საშუალებათა მობილიზაციას.

აუცილებელია გვახსოვდეს ისიც, რომ თვითონ გლუკოზიდები არ წარმოადგენენ გულისათვის ენერგიის წყაროს, და როდესაც გულის კუნთი ძალზედ მოქანცულია, მათ შეუძლიათ მისი მუშაობის გაუარესებაც. ამიტომ გულის გლუკოზიდებით მკურნალობა მოითხოვს ექიმის მუდმივ მეთვალყურეობას.

## ორდე დგებუაძე

რაისას ალმასკომის შენობის წინ უნდა შევხვედროდი. სწრაფ წამოვდექი, პალტო ჩავიცვი, კეპი დავიხურე და ველიამინოვის ქუჩაზე ჩასასვლელ კიბეს მივაშურე.

ქალაქის საბჭოს შენობის საათის ქვეშ დავდექი, პაპიროსს მოვუკიდე და წერეთლის ქუჩიდან გამოსული, ტანის ლამაზი რხევით მომავალი რაისა გამოჩნდა. ქალს მივაშურე, პირმომღიმარი სიხარულს ვერ მალავდა. ამაყად თავაღერილი გულმარიხიანად ჩემსკენ მოიწევდა. მოვიდა, მკლავზე ორივე ხელი ჩამჭიდა,—სანდრო, ძმაო, ძვირფასო!—ჩაილაპარაკა და თავი კეკლუცად ბეჭზე მომადო. გამიყოლია.

უხმოდ მივყვებოდი ერთ ხანს, მერე, —რას იტყვი, ყველაფერი ხომ რიგზეა-მეთქი ვკითხე და შევდექი.

— ყველაფერი, ყველაფერი რიგზეა ჩემო ძმაო,—პირმცინარე მომაცქერდა, წამით თვალები ისე დახუჭა, თითქოს კეკემალულობას თამაშობსო და მერე, გულმშვიდად ამოისუნთქა.—სანდრო ჩემო კეთილო! დღეს მეორედ დავიბადე, დღეს ვიგრძენი სიმშვიდე,—სიხარულის ცრემლები აუციმციმდა, უფრო მაგრად მომეკრა, ნაბიჯს აუჩქარა,—დღემდი, რატომღაც, ისინი უგულონი მეგონა, მათ ხსენებაზე ჟრუანტელი მივლიდა, ტყვიასავით მეშინოდა მათი... როგორ წარმოვიდგენდი, რომ ისინი ასეთი კეთილი, გულისხმიერი ადამიანები იყვნენ.

— რაო, რა გითხრეს? — სიტყვა გავაწყვეტინე.

— როგორც შენ დამარიგე, გულახდილად ვუამბე ყველაფერი. ოქმში სიტყვა-სიტყვით ჩაწერეს ჩემი ნათქვამი და ხელი მომაწერინეს. დამამშვიდეს, დახმარებაც კი აღმითქვეს, სამუშაოზე მოგაწყობთო, მითხრეს. სანდრო, ჩემო ძმაო, ახლა მე და დედას მშვიდად შეგვიძლია ვიძინოთ.

უფრო მაგრად ჩამეჭიდა. ისე გაიწია წინ, თითქოს მიწაზე ფეხს არ ადგამსო. სასახლის ქუჩაზე ცარიელი ეტლი გამოჩნდა. მეეტლე ვიხმე. რაისა გზაში ერთი წუთითაც არ გაჩუმებულა. უფროსის სიდინჯით, მისი ჭკვიანური მსჯელობით, ვაჟკაცური იერით იყო მოხიბლული, ამ დაწესებულების სხვა თანამშრომელთა თავაზიანობაც აოცებდა. რას მოველოდი და რა ვნახეო, ამბობდა გაკვირვებული და ძალზე კმაყოფილი. ეტლიდან გადმოვედით. ალაყაფის კარებთან შევდექით. რაისა შინ მეპატიჟებოდა: — დედა უნდა გაგაცნო, ჩემი გადარჩენით გახარებულს, შენი ნახვაც გაეხარდებაო, მეუბნებოდა, მაგრამ არ დავეთანხმე,—უდროობა მოვიმიზეზე. მე მისთვის არ მიკითხავს თუ რა ჩვენება მისცა უფროსს, რა უთხრა ახალი, ისეთი, რაც მე არ ვიცოდი, მაგრამ მან, როცა წასვლა დავაპირე,—რატომ არ მეკითხები რა მკითხეს, ან მე რა ვუთხარიო, შემეკითხა.

— იქნებ საიდუმლოებაა?

(გაგრძელება. იხ. ჟურნალი „დროშა“ № 4, 6, 7, 8, 9, 10).

— მე მათთვის არაფერი დამიმალავს, ჩემი უბედური ქმრის პეტროსის მოკვლის ამბავიდან მოყოლებული, ყველაფერი ვუამბე, ყველაფერი, რაც მინახავს და გამიგონია. არც ის დავმალე, ხარკოვში თეატრიდან თუ როგორ გამოიტყუილეს საიუვილერო მაღაზიის გამგე და ლომპანში გადააგდეს. ერთი სიტყვით, ჭუჭყი გულს რომ სჭამდა, არ მასვენებდა, მოვიბანე.

ქარი ქროდა, სციოდა, მაგრამ რაისას პალტოს ღილების შეკვრა არც კი უფიქრია. ნახევრად შიშველი გულმკერდი მშვიდად ერხეოდა. კიდევ ერთ ხანს ტიტინებდა ბავშვივით, მერე, ისევ შინ შემიპატიჟა, მაგრამ კვლავ უარი ვუთხარი. გამოსამშვიდობებლად ხელი გავუწოდე. გადამეხვია, გულზე მომეკრა, ტუჩებში მაკოცა და დინჯი ნაბიჯით ეზოში შევიდა, მერე მომიბრუნდა, საღამოს შინ გელოდებიო, მითხრა და მიიმალა.

... მესამე დღე იწურებოდა, მაგრამ იგორ ტამანოვი ჩვენების წერას არ ათავებდა. საკომენდანტოს ერთ პატარა ოთახში თავაუღებლად იჯდა და დაკითხვის ოქმებს ავსებდა და ავსებდა. მოთმინება არ მყოფნიდა, მაგრამ ტამანოვს არ გავკარებივარ.

კომენდანტს არ ვასვენებდი, ვინ იცის დღეში რამდენჯერ ვკითხავდი:—რას აკეთებს? როგორ ხასიათზეა? თუ წერს მონდომებით? აძლევთ თუ არა ზედმეტ ულუფას?

დარწმუნებული, რომ კომენდანტი იგორს ყურადღებას არ აკლებდა და არც ტამანოვი იჯდა უსაქმოდ, დამშვიდებული ვუცდიდი ამ საინტერესო პატიმრის თავგადასავლის წერის დამთავრებას.

ამ ხანებში რაისა მოვინახულე.

საბედნიეროდ არც ახლა დამხვდა დედამისი.

უფროსმა, თუ მოახერხო გამოუტყდი, ყველაფერი უთხარიო, დამაბარა, მაგრამ იმ დღეს რატომღაც ენა ვერ მოვიბრუნე, ვერ გავბედე.

სამუშაოზე მოგვიანებით დავბრუნდი. კაბინეტში შუქი ავანთე და ოპერატიულმა რწმუნებულმა ბავშვის დაკარგვის საქმე მოიტანა არქივიდან. «ია თეიმურაზის ასული ქურხულის უგზო-უკვლოდ დაკარგვის საქმე» ეწერა კაბრაზე.

ყდა გადავშალე და ტელეფონმაც დარეკა. კომენდანტმა მითხრა, რომ პატიმარ ტამანოვს ჩემი ნახვა უნდოდა. საქმე გვერდზე გადავდე, პატიმარს დაველოდე.

იგორი წელგამართული შემოვიდა ოთახში. იღიმებოდა. ქაღალდების დასტა ეჭირა და ისე მოდიოდა ჩემსკენ, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს ესტუმრაო. ამ სამ-ოთხ დღეში გამხდარიყო· ფერიც დაკარგოდა, მაგრამ უფრო მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა.

— დავაგვიანე, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს უფრო მეტიც ეპატიება—შინაურივით ჩაჯდა სავარძელში, ქაღალდის დასტა მაგიდაზე დადო—თითქოს ყველაფერი რიგზეა. მგონი არაფერი გამომრჩენია,—შუბლი შეიკრა, სამელნეს დააცქერდა, ჩაფიქრდა და ერთი ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო, —მე აქ,—დასტას გადახედა,—ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩამოთვლა ზედმეტად მივიჩნიე. ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ჩამოთვლა, სტასსა და საიდოვს მივანდოთ.

ჩემდა უნებურად შემეკრა შუბლი— სტასი და საიდოვი! ახლა მათთან ჭიდილი. გამიელვა აზრმა, მაგრამ იგორი ჩემი შეჭმუხვნის მიზეზს მიხვდა და მითხრა:

— დარდი ნუ გაქვთ, მე მათ ვეტყვი ყველაფერი ილაპარაკონ. ჩემი სიტყვა კანონია მათთვის.

— ძალიან კარგი, მაგრამ თუ დანაშაულებებზე არაფერი დაგიწერიათ, რით შეავსეთ ამდენი გვერდები?—ვკითხე შუბლგახსნილმა.

— მე შევეცადე მხოლოდ ჩემი ბიოგრაფია და ზოგიერთი საგულისხმო რამ ლამაზად მეთქვა. ნახეთ, თუ რამე დასამატებელი იქნება, აქა ვარ, დაბლა, პირველ სართულზე, ჯერჯერობით არსად ვაპირებ წასვლას,—გადაიხარხარა, ჩემს პორტსიგარს მიწვდა,—ჯერჯერობით, და მერე ვნახოთ, იქნებ აქ ყოფნას მართლა ჯობდეს სადმე, სხვაგან წასვლა?

მეც გავიცინე, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგორის ოხუნჯობა მაცინებდა. მე მინდოდა კარგ, რაღაცნაირად განსაკუთრებულ ხასიათზე მყოფ იგორს ეგრძნო, რომ მეც გავუშინაურდი და მომწონს მისი ჩემდამი, ასეთი უბრალო არაოფიციალური დამოკიდებულება.

— ვნახოთ, თუ მართლა ლამაზადაა ნათქვამი, იქნებ პირდაპირ გამომცემლობაში გავგზავნოთ...

— თუ ღმერთი გწამთ, უჩემოდ ნუ იზამთ ამ საქმეს, მე ჩემი ფსევდონიმი უნდა დავაწერო წიგნს. თქვენ კი ჩემი ცრუ სახელი არ იცით,—ისევ გადაიხარხარა დი პაპიროსს მოუკიდა.

მეც ავყევი. როცა ხარხარით გული «ვიჯერე», ვუთხარი:

— ტყუილად გგონიათ, მე თქვენი ფსევდონიმი დიდი ხანია ვიცი.

— არა მგონია.

— მერწმუნეთ, რომ ვიცი, ბატონო ბარონო,—გაცინება ვცადე, მინდოდა ახლა იგორი ამყოლოდა, მაგრამ «ბარონის» ხსენებაზე ტამანოვი ისე შეკრთა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. მერე გააჟრჟოლა, ყბებზე კუნთები დაებერა, ანთებული პაპიროსი ისე ჩაბღუჯა და ისე დაუწყო სრესა, თითქოს ხელში ქაღალდის ნაგლეჯი უჭირავსო.

— დიახ, ბარონი, — როგორც იყო გამოცრა კბილებიდან და წამოდგა.

— რა მოგივიდათ?! რამ შეგაშფოთათ ასე?!—ავხედე და მეც შუბლი შევიკარი, მის მომნუსხავ მზერას შევები და გავუძელი,—აკი გითხარით, ჩვენ ყველაფერი ვიცით-მეთქი. უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ჩვენ, საკუთარი ხუთი თითივით გიცნობთ.

— მე ეს ამბავი სრულებითაც არ მაწუხებს,—ცუდი სიზმრიდან გამორკვეულივით სახე მოისრისა, ამოიოხრა.

— მაშ რა მოხდა?

— ის, რომ ვიღაც შინაურმა, ახლობელმა გვიღალატა, გაგვყიდა, მაგრამ რატომ? ნუთუ თქვენ, ჩემზე მეტი ფული მიეცით იმ უნამუსოს?—ერთ ხანს იყუჩა.—დიახ, ნამდვილად ახლობელია, თორემ უცხომ რა იცის, ვის ჯვარს ვატარებ ხალათქვეშ, მართლმადიდებლისა თუ კათოლიკის.

მართლმადიდებლისა თუ კათოლიკის!—ეს ანდაზაც მეუცხოვა, გამახსენდა პირველ დაკითხვაზე რომ თქვა იგორმა, —«ჩემი თავგადასავალი დაკითხვის ოქმში ისე ვერ ჩაეტევა, როგორც ტიბრში მონბლანიო».

— აი, რა მაწუხებს მე,—განაგრძობდა ის და თანდათან იკუნტებოდა, ბრაზს გუდავდა,—თორემ ჩემს აღსარებაში, თუ გნებავთ სტასისა და საიდოვის ჩვენებებში იმდენი ბაჯაღლო დაგიგროვდებათ, რომ ჩემს ჩამოხრჩობაზე სულიერი მამაც არ იტყვის უარს.

შებრუნდა, უკანმოუხედავად წავიდა კარებისკენ.

მეც გავყევი უხმოდ.

საკომენდანტომდე ისე მივაცილე, რომ ხმა არც ერთს არ ამოგვიღია.

„მე დავიბადე 1887 წელს ქალაქ ხერსონში,—ასე იწყებოდა იგორ ტამანოვის ჩვენება,—მამაჩემს—დანიელ ტამანოვს ამ სამხრეთ უკრაინის პატარა ქალაქში სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი თვე გაუტარებია მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მატყლით მოვაჭრე კუზმა ტარასენკოს ლამაზი ქალიშვილი, ცხრამეტი წლის მატრონა მოეხიბლა.

და, როცა ამ გულუბრყვილო გოგონას მუცელი წამოეზარდა, დანიელი ისე გაუჩინარდა, როგორც ზღვაში გადაგდებული კენჭიო,—იტყოდა ხოლმე ცხონებული ბებიაჩემი. დედაჩემის მამა, კუზმა, გულფიცხი და უაღრესად თავმოყვარე კაცი იყო, მაგრამ ასეთი უღირსი საქციელის გამო თავისი ერთადერთი ქალიშვილისთვის არაფერი უთქვამს. ჯანკოიში გახიზნული გაბახებული მატრონა თავად დაუბრუნებია ოჯახში.

ის წყეული ბოშა, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი ვაჟკაცი იყო, მატრონა კი არა ღვთისმშობელი შეცდებოდაო,—უთქვამს კუზმას და თავის ქალიშვილს ისევ ისე მშობლიური სიყვარულით მოკიდებია.

ბაბუაჩემი თურმე არც მე, ახალდაბადებულს მაკლებდა ყურადღებას, მაგრამ ფეხი ავიდგი და ჩემზე გული აიყარა. შვიდი წლის გავხდი და კუზმას თვალის დასანახადაც არ ვუნდოდი.

რატომ?

იმიტომ, რომ წამოვიზარდე და ისე დავემსგავსე მამაჩემს, როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლი. ათასში ერთხელ თუ გამომელაპარაკებოდა ეს მუხის მორგვივით დაძარღვული, ჯან-ღონით სავსე კაცი, და მაშინაც მარწმუნებდა, რომ მაცდურის ნაშიერი ვიყავი, თვალები უხსენებლისა მქონდა, ჩემს სულში სატანა ბუდობდა. ბაბუაჩემის თქმით, კეთილი საქმისათვის არ ვიყავი გაჩენილი, და ის, მადლიანი კაცი, უბედური იყო იმით, რომ მის ერთადერთ ქალიშვილს ჩემისთანა მორიელი ჩაესახა.

— იცი ვისი შვილი ხარ?—მეკითხებოდა სიკვდილივით გაფითრებულ ბავშვს და თავის შეკითხვას თვითონვე უპასუხებდა,—ავაზაკის, უგულო ადამიანის. აბა, მითხარი ბუს კვერცხიდან მტრედის მართვე თუ გამოჩეკილა. უფალმა თუ დროზე არ მიგიღო, ეჰ, ვინ იცის, რამდენ ცოდვას დაატრიალებ ამ ქვეყანაზე!

(გაგრძელება იქნება)



# ჩვენი ნონა

ფოტო ე. პესოვის და ე. სუსუნიკაშვილისა



1961 წელი დიდი საჭადრაკო შეჯიბრებებით აღინიშ-ნა. ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულებს გან-საკუთრებული სიხარული მოუტანა პრეტენდენტ ქალთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ნონა გაფრინდა-შვილის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ წინასწარი შე-რჩევითი შეჯიბრებების შედეგად ტურნირში მონაწილე-ობის მისაღებად 10 ქვეყნის 17 წარმომადგენელი დაუშვა ესენი იყვნენ: ნ. გაფრინდაშვილი, ვ. ბორისენკო, ლ. ვო-ლპერტი, კ. ზვორიკინა, ტ. ზატულოვსკაია (სსრკ), მ. ლაზარევიჩი, ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია), ა. ნიკო-ლაუ, ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), ე. კარაკაშნე, გ. კონარკოვსკა (პოლონეთი), გ. გრესერი, ლ. ლეინი (აშშ), შ. შოდე დე სილანის (საფრანგეთი), ა. რინდერი (გფრ), ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), ჰუნდსურენი (მონ-ღოლეთი).

ვრნიაჩკა ბანიაში გამართული შერკინება ყველაზე მძი-მე და დაძაბული იყო პრეტენდენტ ქალთა სხვა ტურ-ნირებთან შედარებით. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოე-ბით, რომ „საჭადრაკო ჰორიზონტზე“ უკანასკნელ წლე-ბში მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი გამოჩნდა, რო-მლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლეს ჭადრაკის თამაშის კლასი.

პრეტენდენტ ქალთა ტურნირებში, როგორც წესი, ყოველთვის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები იმარ-ჯვებდნენ; ეს ტრადიცია არც ამ ჯერად იქნა დარღვეუ-ლი.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტი-ლებით, საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ტურნირის დასაწ-ყისშივე შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ ორ ტურში ნო-ნამ ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება პოლონელ გ. კონარ-კოვსკასთან და ჰოლანდიელ ფ. ჰეემსკერკთან. ასევე წა-რმატებით ჩაატარა პარტიები საბჭოთა მოჭადრაკეების ოთხეულთან: მან კარგ სტილში მოუგო ლ. ვოლპერტს, ტ. ზატულოვსკაიას, ვ. ბორისენკოს, კ. ზვორიკინასთან ბრძოლა კი ყაიმით დაამთავრა.

6 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილი $5^1/_2$ ქულით მტკიცედ ჩაუდგა სათავეში ტურნირს. მერვე ტური ლ. ლეინთან ყაიმით დაამთავრა, მეცხრე ტურში კი ოსტატუ-რად მოუგო რუმინეთის უძლიერეს მოჭადრაკე ქალს ა. ნიკოლაუს.

მეტად დაძაბული იყო მეათე ტური, რომელშიც ნონა იუგოსლაველ მოჭადრაკეს მ. ლაზარევიჩს შეხვდა.

საუკეთესო მოჭადრაკემ მ. ლაზარევიჩმა მეცხრე ტუ-რში სპეციალურად გამოტოვა პარტია კ. ზვორიკინას-თან, რათა საშუალება მისცემოდა დაესვენა და კარგად მომზადებულიყო ნონასთან საბრძოლველად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეათე ტურის წინ ნონა გაფრინდაშვილი მხოლოდ ერთი ქულით უსწრებდა ლა-ზარევიჩს და წაგების შემთხვევაში იგი ერთპიროვნულ ლიდერობას დაკარგავდა.

პარტია თავიდანვე ნონასათვის არახელსაყრელ პირო-ბებში წარიმართა. იგი დროზევე მიხვდა, რომ მშვიდო-ბიანი სტილით თამაში გარდაუვალ წაგებამდე მიიყვან-და. კრიტიკულ მომენტში ჩვენს თანამემამულეს ეყო ძა-ლა და სიმშვიდე, რათა სწორი გადაწყვეტილება მიეღო. მან უაღრესად შემტევი სტილით წარმართა თამაში და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

მიუხედავად ორთავე მოჭადრაკის მიერ დაშვებული შეც-დომებისა, ამ პარტიის ფინალი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ნონასთან დამარცხების შემდეგ მ. ლაზარევიჩმა კიდევ რამდენიმე პარტია წააგო და ველარ შეძლო მო-ნაწილეობის მიღება პირველობისათვის ბრძოლაში.

ნონა გაფრინდაშვილმა დაუმარცხებლად ჩაატარა მთელი ტურნირი, — მოიგო 10 პარტია, 6 პარტია ფრედ დაამთავრა და დამსახურებულად მოიპოვა პირვე-ლი ადგილი.

რა არის დამახასიათებელი ნონას თამაშში?

ნონას გააჩნია კარგი თეორიული ცოდნა, ფლობს მდიდარ ჭადრაკულ ფანტაზიას და კომპოზიციურ თვალ-თახედვას, უყვარს მძაფრი პოზიციები, ყოველთვის ცდი-ლობს ფლობდეს ინიციატივას. მიუხედავად იმისა, რომ ნონა მეტად ახალგაზრდაა (20 წლის), იგი კარგად ატარებს პარტიების დასასრულს, რაც დიდ მიღწევას წა-რმოადგენს. ნიჭთან ერთად ნონას გააჩნია მტკიცე ნების-ყოფა და ბრძოლის შესანიშნავი თვისებები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ღვაწლი, რაც თბილი-სელ უხუცეს ოსტატს მ. შიშოვს მიუძღვის პრეტენდენ-ტთა უძნელესი ტურნირისათვის ნონას საუკეთესოდ მო-მზადებაში.

ბრძოლის პირველი ეტაპი წარმატებით არის განვლი-ლი. მსოფლიო ჩემპიონთან ე. ბიკოვასთან შეხვედრის წინ კარგი იქნება ჩვენს ნონას გავახსენოთ მიხეილ ბო-ტვინიკის შემდეგი სიტყვები:

„არ უნდა დაივიწყოთ, რომ მატჩი არსებითად გან-სხვავდება სატურნირო ბრძოლისაგან. ე. ბიკოვა — მატ-ჩის სახიფათო მებრძოლია და გაფრინდაშვილი ახლა დგას ძნელ, მაგრამ საპატიო ამოცანის წინაშე. გისურ-ვებთ წარმატებას“.

ქართველი მოჭადრაკეები და ჭადრაკის მრავალრიცხო-ვანი მოყვარულები ერთსულოვნად ეთანხმებიან მ. ბო-ტვინიკის ამ სიტყვებს და ნონა გაფრინდაშვილს უსუ-რვებენ სათანადოდ მომზადებული შეხვდეს ამ საპასუ-ხისმგებლო მატჩს.

**ვ. გოგლიძე,**

**საერთაშორისო ოსტატი.**



# გული სიამაყით მევსება

**ტერენტი გაფრინდაშვილი**

ყოველ საღამოს მოუთმენლად ველოდი უკანასკნე-ლი ცნობების გადმოცემას, და როცა დიქტორი დაიწ-ყებდა ლაპარაკს იუგოსლავიაში მოჭადრაკე ქალთა ტურ-ნირის მორიგი ტურის შედეგებზე, მართალი გითხრათ, ადგილს ველარ ვპოულობდი.

არ მეგონა, თუ ჩემი მოხუცი გული ამდენ მღელვარე-ბას და სიხარულს გადაიტანდა.

რაც უფრო იზრდებოდა ტურნირში ჩემი ნონას გა-მარჯვების შესაძლებლობა, მით უფრო მეტი სიხარული და შიში მეუფლებოდა.

უფრო კი მაშინ ვნერვიულობდი, როცა ნონა შედარე-ბით სუსტ მოჭადრაკეს ხვდებოდა. მე ვიცი მისი ხასია-თი, რაც ჯერ კიდევ ძალზე პატარას შევნიშნე — ნონა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს ძლიერ მოწი-ნააღმდეგესთან, სუსტებთან კი გონებასა და ენერგიას მაქსიმალურად არ ძაბავს.

უნდა გამოგიტყდეთ, როცა ნონამ იუგოსლაველი ლა-ზარევიჩი დაამარცხა, მის გამარჯვებაში ეჭვი აღარ მეპა-რებოდა, თუმცა ამ აზრს ჩემს თავსაც კი ვერ ვუმხელ-დი, მეშინოდა ნონა არ „გამეთვალა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბული და დაფიქრებული დავდიოდი ზუგდიდის ქუჩებზე, ვცდილობდი უკანასკნელ ცნობებამდე დრო გამეყვანა. მესალმებოდნენ ნაცნობები და უცნობები, ნონას ტოლები და თანაკლასელები; ყველა შვილის წარმატებას მილოცავდა. მეც ვინ იცის მერამდენედ ვიმეორებდი ერთსა და იმავეს: „ჯერ ადრეა გამარჯვებაზე ფიქრი, ვინ იცის რა მოხდება“.

და აი, ჯერ კიდევ უკანასკნელ ტურამდე გამოირკვა, რომ ნონამ გაიმარჯვა.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. სიხარულისაგან თვალებზე ცრემლი მაწვებოდა.

რაზე არ ვფიქრობდი იმ ღამეს. ვფიქრობდი ნონაზე, ვიგონებდი როგორ მსურდა ოთხი ვაჟის მამას ქალიშვილი შემძენოდა. და აი, 1941 წლის მაისში, როგორც იქნა აგვიხდა ოცნება — ჩვენს ოჯახში ქალიშვილი დაიბადა.

მაგრამ მალე ომი ატყდა, სიხარულს ფრთები შეეკვეცა. დაიწყო მძიმე და უსიხარულო დღეები.

მტერი დავამარცხეთ, მაგრამ ომმა თავისი კვალი დააჩინა ცხოვრებას.

ჩემი ბიჭები ძალზე გატაცებული იყვნენ ფეხბურთით. ვეღარ ავუდიოდი მათთვის ფეხსაცმელების ყიდვას, და ერთ დღეს დამებადა იდეა — ბავშვებისათვის ჭადრაკის თამაში მესწავლებინა. იქნებ ამ გზით მაინც გადამერჩინა მათი ფეხსაცმელები „ჩქაროსნული“ წესით დახევისაგან.

კარგად მახსოვს, ნონა ჯერ ხუთი წლისაც არ იყო, როცა ხელში ჭადრაკის ფიგურები აიღო და ჩემგან ნასწავლი პირველი სვლები გააკეთა.

აბა რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ ნონა შემდეგში ასეთ წარმატებას მიაღწევდა.

იდეამ არ მიშველა. ფეხბურთის „სენი“ ნონასაც შეეყარა. ფეხბურთის თამაში ნონას ძლივს მოვაშლევინეთ 12-13 წლის ასაკში. ძლივს დავარწმუნეთ, რომ ქალიშვილს არ შეფეროდა ფეხბურთის თამაში.

საერთოდ ნონას თავიდანვე ბიჭური თამაშებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. მეგობრებიც ძირითადად ვაჟები ჰყავდა. ნონა მხოლოდ ერთ თავის თანაკლასელ **გოგონა**სთან — ნაზიკო ხვიტიასთან მეგობრობდა.



ნონამ ჭადრაკისადმი თავიდანვე ისეთი ინტერესი გამოიჩინა, რომ ახლა მეორე საფიქრალი გაგვიჩნდა; გვაშინებდა პატარა ბავშვის ზედმეტი სერიოზულობა და ხშირად ვუკრძალავდით თამაშს. ექვსი წლის ნონას შეეძლო საათობით ეთამაშა ან სხვისი თამაშისათვის ედევნებინა თვალყური.

შვიდი წლის ასაკში ნონა ისე კარგად თამაშობდა, რომ ბევრ უფროსს, რომლებიც ჩვენს ნაცნობებში კარგ მოჭადრაკეებად ითვლებოდნენ, უსიამოვნებას აყენებდა. 8 წლისამ კი უკვე ბათუმში მოსწავლეთა ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

ეს იყო მისი სპორტული ბიოგრაფიის დასაწყისი, და აი ახლა მან მოიპოვა უფლება იბრძოლოს საჭადრაკო გვირგვინისათვის.

მიხარია, რომ ჩემმა პატარა ნონამ, რომლის დაბადებასაც ასე ველოდით ჩვენს ოჯახში, სიამოვნება მიანიჭა ქართველ გულშემატკივრებს.

მიხარია, რომ ქართული სპორტის საგანძურში ბევრ სხვა გამოჩენილ სპორტსმენთან ერთად ჩემმა პატარა გოგონამაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი.

მიხარია როგორც მამას და როგორც გულშემატკივარს.

# საერთაშორისო კონგრესი საჭადრაკო კომპოზიციაში

მოსკოვში ამას წინათ ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი საჭადრაკო კომპოზიციაში. კონგრესში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დანიისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილმა საჭადრაკო კომპოზიტორებმა.

საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შედიოდნენ: ა. კაზანცევა, ა. გურევიჩი, ტ. გიორგიევა, ა. ლობროვსკი, ე. რუხლისი, გ. ნეიძე, გ. კასპარიანი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები.

კონგრესმა, რომელსაც წინ უძღვოდა „ფიდე“-ს საკომპოზიციო კომისიის სხდომები, მეტად ნაყოფიერად ჩაიარა. შეჯამდა და ღრმა ანალიზი გაუკეთდა საჭადრაკო ეტიუდებისა და ამოცანების განვითარების თანამედროვე ეტაპს, დაისახა მთელი რიგი პერსპექტიული გეგმები.

კონგრესის სხდომებზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: „თანამედროვე საჭადრაკო ეტიუდის განვითარების საკითხისათვის“ (გ. გუებანი — პოლონეთი), „საჭადრაკო ამოცანის ჩეხური სკოლა“ (ვ. პახმანი — ჩეხოსლოვაკია), „ლოგიკურის საკითხისათვის საჭადრაკო ამოცანაში“ (გ. გრასემანი — გდრ) და სხვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელი კომპოზიტორის გ. კასპარიანის მოხსენებამ („საჭადრაკო ეტიუდის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები“). მან დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საეტიუდო ხელოვნება ვერ ითმენს სტანდარტებსა და მზა რეცეპტების გამოყენებას, რომ საჭადრაკო ეტიუდებისადმი წაყენებული მოთხოვნილებები შემოქმედებითი მეთოდით უნდა სრულდებოდეს.

გ. კასპარიანის მოხსენების დასკვნითი ნაწილი შეიცავდა სავსებით მართებულ დებულებას — ეტიუდების განვითარება უნდა მოხდეს მაღალი ტექნიკის, ახალი იდეების ძებნისა და შავების გამდიდრებული კონტრთამაშის შერწყმის საფუძველზე.

კონგრესმა ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორები საერთაშორისო სარბიელზე ყველაზე მოწინავე ძალას წარმოადგენენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უცხოელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი ქვეყნის კომპოზიტორთა ნაწარმოებებისადმი. ისინი ხელიდან არ უშვებდნენ არც ერთ შემთხვევას, რათა საბჭოთა კომპოზიტორები თავიანთი საჭადრაკო პრესის ფურცლებზე გამოსასვლელად მიეწვიათ.

პირადად მე ნაწარმოებები მთხოვეს პოლონეთის, უნგრეთის, ფინეთის, იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.



ვ. პახმანი და გ. ნადარეიშვილი

ქართველმა კომპოზიტორებმა განსაკუთრებით თბილი მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ საერთაშორისო ოსტატ ვ. პახმანთან. ვ. პახმანმა, გ. ნეიძემ და მე გადავწყვიტეთ კოლექტიურად შევქმნათ რამდენიმე ეტიუდი.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ასეთივე მეგობრული შეხვედრები ჰქონდათ „ფიდე“-ს საკომპოზიციო კომისიის პრეზიდენტ ნ. პეტროვიჩთან. ნ. პეტროვიჩი გარეგნულად ძალიან ჰგავს ჩვენს სასიქადულო პოეტს გიორგი ლეონიძეს. ამ მსგავსების შესახებ საკომპოზიციო კომისიის პრეზიდენტმა ღიმილით განაცხადა — მე ვამაყობ ამ მსგავსებით, რადგან იგი არა მარტო გარეგნული მსგავსებაა, არამედ შინაარსობრივიც: საჭადრაკო კომპოზიტორები ხომ მოჭადრაკე პოეტები ვართ.

„მოჭადრაკე პოეტების“ მოსკოვის საერთაშორისო კონგრესმა არა მარტო მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების უფრო მაღალ ეტაპზე აყვანის პერსპექტივას, არამედ მნიშვნელოვნადაც შეუწყო ხელი სხვადასხვა ქვეყნების საჭადრაკო კომპოზიტორების ურთიერთგაცნობას, მათ შორის კონტაქტის დამყარებასა და დამეგობრებას.

გ. ნადარეიშვილი

# საინტერესო თემაზე

* * *

მოსკოვის ზოოპარკის მუშაკებმა მეტად საინტერესო ცდა ჩაატარეს. პატარა ვირთაგვები, რომლებიც ჯერ კიდევ თვალაუხილველნი და ტიტვლები იყვნენ, კატის კნუტებთან ერთად წყლიან ტაშტში გაბანეს, შემდეგ კი კატას მიუსვეს. კატამ ვირთაგვები ჯერ დაეჭვებით დაყნოსა (პატარა ვირთაგვებს კნუტების სუნი ასდიოდათ), შემდეგ კი მათ ძუძუს მიცემა დაუწყო.

კატა მალე შეეჩვია ვირთაგვებს და თავგამოდებით იცავდა განსაცდელისაგან.

* * *

ქარიყლაპია ონავარი თევზია, იგი მუსრს ავლებს თევზებს, განსაკუთრებით კი კარჩხანებს...

ერთმა მეცნიერმა ასეთი ცდა ჩაატარა: აკვარიუმი მინით გადატიხრა და ერთ მხარეს ქარიყლაპია მოათავსა, მეორე მხარეს კი კარჩხანა. როგორც კი საკბილო დაინახა, ქარიყლაპია მაშინვე გაექანა კარჩხანისაკენ, მაგრამ უშედეგოდ მიასკდა მინას. ქარიყლაპიამ რამდენჯერმე კიდევ სცადა საკბილოზე თავდასხმა, მაგრამ ყოველთვის მინის ტიხრს აწყდებოდა.

მეცნიერმა ბოლოს აკვარიუმიდან ამოიღო გამლობავი მინა, ქარიყლაპიას აღარც კი უფიქრია პატარა კარჩხანის შეჭმა. ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ ერთად.

* * *

**აფრიკაში ცხოვრობენ გველები, რომლებსაც „სნაიპერებს“ უწოდებენ.**

**ამ საშინელი გველების სახიკვდილო იარაღს წარმოადგენს შხამი, რომელსაც 1 მეტრზე აფრქვევენ.**

**პირის ღრუს ჯირკვლებში მოთავსებული შხამის გადმოფრქვევა სათვალიან გველებსაც შეუძლიათ.**

**ზოოპარკში მოთავსებული შხამისმფრქვეველი გველები მნახველებისაგან მინით არიან იზოლირებული, თუ კარგად დავაკვირდებით ამ მინებს, მასზე შევამჩნევთ მომწვანო ლაქებს, რომლებიც გადმონაფრქვევი შხამის კვალს წარმოადგენს.**

* * *

სოფიის მახლობლად სახელმწიფო მერძევეობის დოქტორ ივანე პაშეკის სახელობის ფერმაში ერთ-ერთმა ძროხამ ორთავიანი ხბო მოიგო. ხბო ძლივს-ძლივობით სწევს თავს და სიმძიმის გამო სიარული არ შეუძლია.



# დეკემბერი

წლის ბოლო — მეთორმეტე თვე 31 დღით. ძველ რომში, როდესაც ახალი წელი მარტით იწყებოდა, ეს მეათე თვის — დეკემბრის სახელწოდებით იყო ცნობილი (ბერძნულიდან დეკა — ათი).

საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მიხედვით წლის მესამე თვე იწყებოდა 21-23 ნოემბერს და მთავრდებოდა 20-22 დეკემბერს. ამ თვეს ეწოდებოდა ფრიმერი ე. ი. თრთვილის თვე. 1805 წლის 31 დეკემბერს საფრანგეთის ახალი კალენდარი გაუქმდა და კვლავ შემოღებული იქნა გრიგორიანული კალენდარი.

ძველი რუსები ამ თვეს უწოდებდნენ студень-ს, ე. ი. ძალიან ცივს, პოლონელები და უკრაინელები грудень, ჩეხები просинец, ბულგარელები коложеч. როგორც ცნობილია, ძველ რუსეთში წელიწადი იწყებოდა მარტიდან, XV საუკუნიდან გადატანილი იქნა პირველ სექტემბერს, ხოლო 1699 წლის 15 დეკემბერს პეტრე I ბრძანებით ახალი წელი უნდა დაწყებულიყო 1 იანვრიდან.

ძველ საქართველოში ამ თვეს ეწოდებოდა ტირისდენი, ქრისტიშობის თვე, უფრო გვიან კი დეკემბერი.

# ნაკვესები

საწყობის გამგეს კითხეს — როგორ მოღვაწეობ შენს საქმიანობაში, და—გატაცებითაო.

*

მატერიამ წაიტრაბახა — მე და ნოქარი ერთმანეთს ვჭიმავთო.

*

ინტრიგანმა ოხრა იყიდა და გამყიდველმა მოლარეს გასძახა — ოხრის ფული მიიღეო.

*

მეღვინეს კითხეს — როგორი ღვინო გაქვს, და — არაჩვეულებრივიო.

*

ცოლს გულზე ცეცხლი ეკიდა — ქმარი სხვასთან იწვებოდაო.

*

ერთმა ექიმმა დაასკვნა — ალბათ ზუსტად ვიცავ ტიფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას, პაციენტებმა რომ „უტიფარი“ შემარქვესო.

*

საწყობის გამგეს ჩაუტიკტიკა შვილმა:

—დედიკომ მითხრა „მამა—ალალიაო“, მასწავლებელმა კი „ალალი — მტაცებელიაო“.

ვახტანგ ჯავრიშვილი

# ერთხელ

* * *

XVIII საუკუნეში ერთ-ერთმა ცნობილმა პარიზელმა ექიმმა მიზნად დაისახა გაერკვია, რომელი „საწამლავი“ უფრო დამღუპველად მოქმედებს ორგანიზმზე — ჩაი თუ ყავა. ამ სასმელების მავნე გავლენაში მას ეჭვიც კი არ ეპარებოდა.

ექიმმა მიიღო ნებართვა, რათა დაკვირვებები ეწარმოებინა პატიმრებზე, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. ერთ პატიმარს იგი ყოველდღიურად სამ ჭიქა ჩაის აძლევდა, მეორე პატიმარს კი იმავე რაოდენობით ყავას.

ექსპერიმენტს ასეთი შედეგი მოყვა: პირველმა პატიმარმა, რომელიც ჩაის „საწამლავს“ იღებდა 80 წლამდე იცოცხლა, ყავით „განწირულმა“ პატიმარმა 70 წელი გაძლო, ექიმი კი, რომელიც არც ჩაის მიირთმევდა და არც ყავას, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა.

* * *

ლონდონის ერთ-ერთ სასაფლაოზე აღმართულია მარმარილოს ძვირფასი მავზოლეუმი, რომელიც XIX საუკუნის ცნობილ ინგლისელ მოკრივეს თომას სეიერს დაუდგეს.

თავისი კარიერის მცირე დროის მანძილზე თომასმა დააზიანა 66 ყბა, 481 თვალი, 36 მოკრივეს ჩაულეწა ძვალი, ხოლო 269 მოკრივეს ჩაუმტვრია ცხვირი.

მავზოლეუმი, რომელიც თომას სეიერს ამ „გმირობისათვის“ აუგეს, ბევრად უფრო კოხტა და ძვირფასია, ვიდრე ვატერლოოს მოედანზე აღმართული XIX საუკუნის სახელოვანი ინგლისელი მოგზაურის ჯონ ფრანკლინის ძეგლი.

# იცი თუ არა შენ?

...რომ საზამთროს სამშობლოდ აფრიკის უდაბნოები ითვლება. ამ უდაბნოებში ხარობს ველური საზამთრო, რომლის წონა 250 გრამია. კულტურული საზამთროს წონა კი ზოგჯერ 15 კილოგრამს აღემატება.

...რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყვანეს წითელი, ლურჯი და ყვითელი ფერის კარტოფილი.

...რომ რამის სამშობლოა ჩინეთის, იაპონიისა და ინდონეზიის პროვინციები. საბჭოთა კავშირში რამი საქართველოში მოჰყავთ. მისგან ამზადებენ კოხტა და გამძლე ქსოვილს, რომელიც აბრეშუმს ჩამოჰგავს.

...რომ მავნე მიკრობების გარდა არსებობენ სასარგებლო მიკრობებიც, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ადამიანებს; რძის მჟავის მიკრობების საშუალებით მზადდება მაწონი, არაჟანი, ხაჭო და ყველი, თვალით უხილავი სოკოებისაგან მზადდება პენიცილინი და სხვა წამლები.

...რომ დედამიწაზე არსებულ ცხოველთა და ფრინველთა შორის ყველაზე გრძელი ბოლო იაპონიაში გამოყვანილ ქათამს აქვს. მისი ბოლოს სიგრძე 1 მეტრს, ზოგჯერ კი 3-4 მეტრსაც აღწევს.

# იუმორი

## სიტყვაძუნწობის რეკორდი

გამოჩენილმა შოტლანდიელმა ქირურგმა ჯონ აბერნეტმა საოცრად ლაკონური საუბარი იცოდა, მაგრამ ერთ-ერთი პაციენტის სახით მას მეტად სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა სიტყვაძუნწობაში.

ერთხელ ჯონ აბერნეტს დახმარებისათვის მიმართა ქალმა, რომელსაც ხელი ჰქონდა შეხვეული. ექიმსა და ავადმყოფს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— დამწვარია?

— ნაღრძობი.

— საფენები!

მეორე დღეს პაციენტი კვლავ ეწვია ექიმს. მათი საუბარი ამჯერად ასე წარიმართა:

— უკეთ ხართ?

— უარესად.

— ისევ საფენები!

რამდენიმე დღის შემდეგ ქალი კმაყოფილი სახით მივიდა ექიმთან. ვიზიტს შემდეგი დიალოგი მოჰყვა:

— უკეთ ხართ?

— მოვრჩი. რამდენი?

— არაფერი! — შესძახა გაოცებულმა ექიმმა და მაშინვე დასძინა,—პირველად ვხვდები ასეთ გონიერ პაციენტს!

გარეკანის პირველ გვერდზე: ახალ მშენებლობაზე.
ფოტო ო. თურქიასი

რედაქტორი ა. ძიძიგური
პ/მგ. მდივანი მ. ჯიბლაძე
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/I-62 წ. გამომც. № 217, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000, შეკვ. № 2142, უე 05101
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



თხილამურები მზადაა

ფოტო გ. თიკანაძისა




პლაკატი ნ. მალაზონიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა